საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბოჭდეგუნი სიფცეკვაა, ფცეილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 16 ნოემბერი. 2022 წ. №175 (9513) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakres

ოლივერ ვარჰეისაც არ სცოდნია, ვინ არის ჩვენი მოღალატე, ანტიქართული ოპოზიცია!

საქართველო აქტიურად მუშაობს 12-ვე პრიორიტეტის შესრულებაზე, თუმცაღა...

ჩვენ გვჭირდება ეროვნული კონსენსუსი

„დღეს მე ხმას მივაწვდენ პარლამენტის ყველა წევრს. შევხვდები პარლამენტის თავმჯდომარეს, პოლიტიკურ გუნდს და ჩემი გზავნილი იქნება იგივე. ჩვენ გვჭირდება ეროვნული კონსენსუსი 12-ვე პრიორიტეტზე. ეს ყოველთვის ასე იყო, ნებისმიერი კანდიდატის შემთხვევაში. მაგალითად, ჩემს ქვეყანაში, უნგრეთში ეს იყო ჩვენი ეროვნული კონსენსუსის შემადგენელი. არ აქვს მნიშვნელობა პოლიტიკურ ბრძოლას და კონიუნქტურას, ეს არის მიზანი, რომელიც უფრო დიდია, ვიდრე ნებისმიერი თაობა. ამიტომ იმედი მაქვს, მე მექნება კარგი ამბები საქართველოდან ბრიუსელში წასაღებად, რადგან პარლამენტი არის მნიშვნელოვანი ასპექტი ამ თანხმობაში. ეს არის მნიშვნელოვანი დიდი რეფორმები, რომელიც ხორციელდება ქვეყანაში და პარლამენტის კომპეტენციასა და მანდატში შედის ბევრი საკითხი. ამიტომ მოგვიწევს ერთად მუშაობა და იმედი მაქვს, ეროვნული კონსენსუსი შედგება იმ ყოველდღიური, რუტინული საკითხების მიღმა. რა თქმა უნდა, მზად ვართ, დაგეხმაროთ ამ პროცესში და როგორც უკვე ვთქვი, იმედი მაქვს, ყველა პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური ელიტის წევრი დაინახავს, რომ ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, უნიკალური შეთავაზება საქართველოსთვის. იმედია, ამას ყველა დაინახავს და ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ვერ გამოიყენებთ ამ შანსს...

მომდევნო კვირეებისა და თვეების განმავლობაში საქართველოს მოუწევს დიდი ჯაფის გაწევა, რათა აჩვენოს, რომ მზად არის, გახდეს კანდიდატი,.

ეს სურვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში ახდება, თუ მთელი ქვეყანა, მთელი საქართველო, ყველა ქართველი ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, იმუშავებს ამ მიზნისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილი: კანდიდატის სტატუსი არ არის მხოლოდ მთავრობის კუთვნილება, ეს ეკუთვნის ყველა მოქალაქეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, საქართველო 12-ვე რეკომენდაციაზე მუშაობას მალე დაასრულებს.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სამწუხაროდ, ოპოზიცია არ არის ჩართული ამ პროცესში.

„მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და ევროკომისიის შესაბამის სამსახურებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული 12 რეკომანდაციის შესრულების პროცესში. ისინი ჩვენ გვეხმარებიან, რომ საქართველომ მაქსიმალურად მოკლე დროში შეასრულოს 12-ვე რეკომენდაცია და არც ერთი პასუხგაუცემელი კითხვა არ დაგვრჩეს. მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ 12-ვე რეკომენდაციას ძალიან მალე დავასრულებთ. აქვე, მინდა, აღვნიშნო, ბატონო კომისარო, თქვენ ამის თაობაზე მოგაწოდეთ ინფორმაცია ჯერ კიდევ სექტემბრის თვეში, როცა მე ვიყავი ბრიუსელში, რომ სამწუხაროდ, ყველა აქტორი არ არის ჩართული ამ პროცესში, არ არის ჩართული ოპოზიცია, რომლის პირდაპირი ვალდებულებაა რეკომენდაციების... სწორედ მთავარი, პირველი რეკომენდაციის შესრულება არის დეპოლარიზაცია. ჩვენ ნათლად ავხსენით და განვმარტეთ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია, თუ არ იქნება მათი მხრიდან თანამშრომლობის ანალოგიური მზაობა. მას შემდეგ, რაც ჩვენ 12-ვე რეკომენდაცია გადმოგვეცა, სულ რაღაც ერთ კვირაში პარლამენტი გამოვიდა ინიციატივით, წარადგინა საკუთარი გეგმა, როგორ ვასრულებთ ჩვენ, მმართველი ძალა, პარტია, მთავრობა, პარლამენტი — ყველა ერთად ამ 12-ვე პრიორიტეტს. იქვე, ჩვენ გავუხსენით კარი ყველა აქტორს — ოპოზიციურ პარტიებს, არასამთავრობო სექტორს, ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ 12 რეკომენდაციის შესრულებით.

აქვე მინდა, ვთქვა, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩვენი, მთავრობის კუთვნილება, კანდიდატის სტატუსი არის ქვეყნის სტატუსი, შესაბამისად, ეს ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი კარი არის ღია ყველასთვის და კიდევ ერთხელ მინდა, შევახსენო ყველა აქტორს, აუცილებელია მათი ჩართულობა ამ პროცესში“...

მართალს ბრძანებთ, ევროკომისარო და პრემიერ-მინისტრო, მაგრამ ნაციონალური ოპოზიცია ამას გამიზნულად არ იზამს და თქვენი „ოქროს“ სიტყვები დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!

2

ირაკლი კობახიძე: ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ქვეყნის სიყვარულს არ პატიობენ!

რატომ არ ფიგურირებს კრემლისთვის წაყენებულ სავარაუდო პირობებს შორის საქართველო?! 6

ქართული მინის რეფორმის შედეგები 7

ბანდიტების ჯგუფს საქართველოში ისრაელის მოქალაქის მკვლელობა ჩაეშალათ! 11

ნაცმოძალოების სიკვდილისწინა „ჭინთვეჯი“ 4

სალომე ზურაბიშვილი: მე არ ვიზიარებ ჩვენი მთავრობის სიფრთხილეს!

ცხადია, არის განსხვავება ჩემსა და მთავრობას შორის, რომელიც მიიჩნევს, რომ უფრო ფრთხილი რიტორიკაა საჭირო, რათა არ მოვიზიდოთ რუსეთის დამატებითი რისხვა, მე არ ვიზიარებ ამ სიფრთხილეს, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა France inter-თან ინტერვიუში განაცხადა.

ინტერვიუში სალომე ზურაბიშვილმა რუსეთ-უკრაინის ომზე და საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა.

„ომის მსვლელობის მიმართულება შეიცვალა რამდენიმე კვირის და თვის წინ, როდესაც რუსეთმა გააკეთა მცდარი გათვლები უკრაინის წინააღმდეგობის შესახებ, მცდარი გათვლები ამერიკის და ევროპის შიდა სოლიდარობის შესახებ, უკრაინის წინააღმდეგობის ხანგრძლივობის შესახებ, და დღესაც მცდარია გათვლა იმის შესახებ, რომ შეიძლება უკრაინაზე, ან მსოფლიოზე შთაბეჭდილების მოხდენა ატომური მუქარით, რომელიც სხვა ეპოქისაა“, – აღნიშნა ზურაბიშვილმა. მისივე თქმით, ამაში დამარცხების დასაწყისს ხედავს...

ჟურნალისტმა საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხა, ომის დაწყებიდან 8 თვენახევრის შემდეგ რთულია იმის გაგება, ვის მხარეს არის საქართველო, რაზეც სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობა სრულიად უკრაინის გვერდით დგას.

„სრულად უკრაინის გვერდით – რაც შეეხება მოსახლეობას. ამაზე ეჭვი არ არსებობს, ნებისმიერ დროს, როდესაც ამის საჭიროება არის, ხალხი გამოდის ქუჩაში. თქვენ თუ ჩამოხვალთ საქართველოში ნახავთ, რომ კედლები მოფენილია უკრაინული დროშებით და ასევე სლოგანებით, რომლებიც პუტინს არ მოეწონებოდა.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის პოზიციას, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ მოსახლეობის პოზიცია სრულიად ნაკარნახევია იმ ფაქტით, რომ საქართველო, ბოლო პერიოდებში, რუსეთის მიერ სამჯერ იყო დაპყრობილი და დღეს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია. „ამაზე კითხვის ნიშანი არ ისმის. მთავრობა ამიტომაც ის ცდილობს იყოს ფრთხილი, ჩემზე უფრო ფრთხილი, უკრაინის მიმართ ჩემს მხარდაჭერაში მე ძალიან ექსპრესიული ვარ“...

კითხვაზე, ამ ომს მნიშვნელოვანი ენერგეტიკული და ეკონომიკური შედეგები ჰქონდა. შიშობთ, რომ შესაძლებელია ევროპელებმა, რაღაც მომენტში, აღარ გამოიჩინონ სოლიდარობა უკრაინის მიმართ, თუ ეს ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ რუსეთი გათვლას ამაზე აკეთებდა.

„მას ეგონა, რომ აქაც იგივე მოხდებოდა, რაც ყოველ ჯერზე ხდებოდა საქართველოში: 1991 წელს, 2008 წელს და ყირიმში – 2014 წელს; ცოტა ხმაურის შემდეგ, ევროპელები დაუბრუნდებოდნენ (მასთან) ბიზნესს, როგორც ყოველთვის. ეს ასე არ მოხდა. მას ასევე, ეგონა, რომ კომფორტს მიჩვეული ევროპელი მოსახლეობა აუჯანყდებოდა ხელისუფლებას და მათ სანქციებს, რომლებიც ძვირი უჯდება მოსახლეობას, ეს ასე რადიკალურად არ მოხდა. მართალია, რთულია ეს ყველაფერი, იქნება მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც ნაკლები ენთუზიაზმი ექნება, მაგრამ სრული გახლეჩა, რასაც რუსული მმართველობა ელოდებოდა, არ მოხდა, არც ერთი მათი მოლოდინი არ შესრულდა.

შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამჯერად, ყველაფერი ნათელია, ევროპის რეორიენტაცია მეტი ენერგეტიკული დამოუკიდებლობისთვის დღესდღეობით საბოლოოა. ყველამ გაიგო, რომ არ შეიძლება დამოკიდებული იყო არადემოკრატიულ ქვეყანაზე. ეს დიდი გაკვეთილია, რომელიც ყველამ გაიგო, უკრაინის წყალობით“, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს თარგმანი საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა გავრცელა!

გვიხსენით მეგობრებისგან!

ირაკლი კობახიძე: ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ქვეყნის სიყვარულს არ პატიობენ!

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ და სხვა მასშტაბური საქველმოქმედო პროექტების განხორციელებას ბიძინა ივანიშვილი ფინანსური შანტაჟისა და სერიოზული ფინანსური სირთულეების შექმნის ფონზეც აგრძელებს, – ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე სოციალურ ქსელში წერს.

„ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა სიუჟეტი ბიძინა ივანიშვილის მორიგი საქველმოქმედო პროექტის შესახებ. მასშტაბური აგროკომპლექსი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გადაშენების პირას მყოფი ფრინველთა სახეობების გასამრავლებლად და ბუნებაში გასაშვებად შექმნა, საქართველოს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაში განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს, რაც დარგის სპეციალისტებმა ჩემზე უკეთ განმარტეს.

როგორც ცნობილია, ეს არ არის ყველაზე მასშტაბური საქველმოქმედო პროექტი ბიძინა ივანიშვილის მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის, თუმცა, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის განსაკუთრებულად კარგად აჩვენებს ამ ადამიანის დამოკიდებულებას საკუთარი ქვეყნის მიმართ.

ქართველებს არ გვაქვს ნავთობითა და გაზით მდიდარი ქვეყანა. ჩვენი მთავარი სიმდიდრე ჩვენი ისტორია და ბუნებაა. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ განსაკუთრებით მასშტაბურ ქველმოქმედებას ბიძინა ივანიშვილი, წლების მანძილზე, სწორედ ამ ორი მიმართულებით ახორციელებს.

წინა ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილად“ შერაცხილ ინტელიგენციაზე ზრუნვა, ეკლესია-მონასტრებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა, სამების ტაძრის მშენებლობა, ქართულ პოლიფონიაზე ზრუნვა და ბიძინა ივანიშვილის სხვა მასშტაბური საქველმოქმედო ინიციატივები სწორედ საქართველოს ისტორიისა და ტრადიციების მოფრთხილებისა და შენარჩუნების პატრიოტულ საქმეს ემსახურება.

გაშენდა შეკვეთილის უნიკალური დენდროლოგიური პარკი, შეიქმნა და სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცა მასშტაბური სანერგე მეურნეობები, რომლებშიც ასეულობით ქართული და ასეულობით უცხოური ვაზის ჯიში, აგრეთვე ასეულობით სახის ხეხილოვანი კულტურა გაშენდა. თბილისს გადაეცა იპოდრომის ტერიტორია, სადაც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით დედაქალაქის ეკოლოგიისთვის უმნიშვნელოვანესი რეკრეაციული სივრცე გაშენდება. გადაშენების პირას მყოფი ფრინველთა სახეობების გასამრავლებელი აგროკომპლექსიც მორიგი საქველმოქმედო პროექტია, რომელიც უნიკალური ქართული ბუნების შენარჩუნებას ემსახურება.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ამ და სხვა მასშტაბური საქველმოქმედო პროექტების განხორციელებას ბიძინა ივანიშვილი ფინანსური შანტაჟისა და სერიოზული ფინანსური სირთულეების შექმნის ფონზეც აგრძელებს.

სწორედ ასეთ ადამიანს – ქველმოქმედს, მეცენატს, ადამიანს, რომელმაც კარგად იცის საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და ბუნების ფასი და უბრალოდ, უყვარს ეს ქვეყანა, საქართველოს შიდა და გარე არაკეთილმოსურნეები ოლიგარქად მოიხსენიებენ.

ამის მიზეზი არის არა ის, რომ ეს ადამიანები ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედებას, მეცენატობას და ქვეყნის სიყვარულს ვერ ხედავენ, არამედ, პირიქით, ისინი ბიძინა ივანიშვილს სწორედ ქველმოქმედებას, მეცენატობას და საკუთარი ქვეყნის, მისი ისტორიისა და ბუნების სიყვარულს ვერ პატიობენ.

სინამდვილეში, საქართველოს არაკეთილმოსურნეების ლექსიკონის მიხედვით, ოლიგარქი არის პატრიოტის, ხოლო პოლიტიკაზე ჭარბი გავლენა – საკუთარი ქვეყნის ჭარბი სიყვარულის სინონიმი.

საქართველოს უცხოელი არაკეთილმოსურნეების ქართველი პარტნიორები არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ბიძინა ივანიშვილის საპირისპირო დამოკიდებულებას გამოხატავენ. ისინი არიან უსამშობლო ადამიანები, რომლებით ხშირად ღიადაც ებრძვიან საკუთარი ქვეყნის ისტორიას და მის მომავალს. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ქვეყნის სიყვარულის ნაცვლად, უცხო ქვეყნის „სიყვარული“ ამოძრავებთ.

საქართველოს შიდა და გარე არაკეთილმოსურნეები ითხოვენ „მოგვარდეს ბიძინა ივანიშვილის ჭარბი გავლენა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“. ამ ადამიანებმა სინამდვილეში ძალიან კარგად იციან, რომ ბიძინა ივანიშვილს თუკი რაიმე ჭარბი გავლენა აქვს, ეს არის სწორედ ზემოთ აღწერილი საქველმოქმედო ინიციატივებითა და 2012 წლის დემოკრატიული გარდატეხით განპირობებული საზოგადოების განწყობა მის მიმართ. სწორედ ამ განწყობიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან, ეკონომიკური პროცესებიდან და საჯარო ცხოვრებიდან დისტანცირების პირობებშიც კი არის ფაქტორი, რომელიც ხალხს ეიმედება და საქართველოში მშვიდობას, სიმშვიდეს და ქვეყნის სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფს.

ამ გაგებით, ბიძინა ივანიშვილის „ჭარბი გავლენა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ გამოხატულია იმით, რომ საქართველოში არის არა ომი, არამედ მშვიდობა, საქართველოში არის არა ეკონომიკის რეცესია, არამედ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, საქართველოში არის არა არეულობა, არამედ სიმშვიდე.

საქართველოს არაკეთილმოსურნეებს აღიზიანებს ის ფაქტი, რომ მათ, უმძიმესი შანტაჟის პირობებშიც კი, ბიძინა ივანიშვილს ომისკენ ნაბიჯი ვერ გადაადგმევინეს და ნაცვლად იმისა, რომ ის მისი ნების წინააღმდეგ პოლიტიკაში შემობრუნებას და ქვეყნის განადგურებას დათანხმებოდა, დღეს ქველმოქმედებით, მათ შორის საქართველოს ბუნების გალამაზებითა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებით არის დაკავებული.

ჩვენი პოლიტიკური გუნდის თითოეული წევრი ცდილობს, პოლიტიკაში იმ ღირებულებებითა და პრინციპებით იმოქმედოს, რომლის მაგალითსაც ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა გვაძლევდა. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ საქართველოს შიდა და გარე არაკეთილმოსურნეებისთვის საქართველოს მოქმედი ხელისუფლება და მისი პოლიტიკა ზუსტად ისევეა მიუღებელი, როგორც ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ვერც პოლიტიკური და ვერც ფინანსური შანტაჟით, საქართველოს შიდა და გარე არაკეთილმოსურნეები საქართველოში ვერც მშვიდობას და სიმშვიდეს დაარღვევენ, ვერც ეკონომიკურ წინსვლას შეაჩერებენ და ვერც ბიძინა ივანიშვილის მასშტაბურ საქველმოქმედო პროექტებს შეაჩერებენ.

საქართველო გაიმარჯვებს“!

საქართველო გაიმარჯვებს!



რა სურს ამერიკას?!

წერილი მეხუთე

ელჩობა ხელშეუხებლობის გარანტიაა, **ამერიკის ელჩობა — ყველაფრის კადრებაზე უფლების გარანტია.** აღნიშნული დეფინიცია ჩვენს რეალობაში იმდენი ფაქტითაა გამყარებული, რომ უყოყმანოდ შეიძლება შევიტანოთ განმარტებით ლექსიკონებში.

ქალბატონმა დეგნანმა საბავშვო ბაღის აღსაზრდელის გულუბრყვილობით გაიკვირვა, ევროპარლამენტის რეზოლუციაზე კომენტარი როგორ უნდა გავაკეთო, რა ჩვენი საქმეა, ჩვენ რა შუაში ვართო.

შუაში კი არა, თავში ხართ, ქალბატონო დეგნან — თავში. საქართველო იქით იყოს და **ევროპაში არ დარჩა პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად ჩახედული კაცი, ყველა პოლიტიკურ გადაწყვეტილებაში ამერიკის ხელს არ ხედავდეს და ამ ზეწოლებს თუ ჩარევებს ნეგატიურად არ აფასებდეს.**

ახალი მაგალითები გინდათ? — აიღეთ ქალბატონი ელჩის მიერ ე.წ. რეზოლუციასთან სრულ ჰარმონიაში მყოფი განცხადება გვარამიას განაჩენთან დაკავშირებით, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან სრულიად სამართლიანად შეფასდა როგორც **სასამართლოზე პირდაპირი ზეწოლა და სასამართლოს დამოუკიდებლობაში უხეში ჩარევა.**

ევროპარლამენტის რეზოლუციის პროექტის კონტექსტში იკითხება „ვაშინგტონის კრემლის“ მაღალი პასუხისმგებლობის პირის, ნედ პრაისის მიერ, რამდენიმე დღის წინ, ბრიფინგზე, ნაცჟურნალისტთან გათამაშებული „სკეტჩის“ დროს გაკეთებული უსამართლო და შეიძლება ითქვას, უღირსი ე.წ. შეფასებებიც, რაც ასევე, ჩვენი ქვეყნისთვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად. **არანაირი ფაქტები, არანაირი არგუმენტები, არანაირი სტატისტიკა, მხოლოდ და მხოლოდ ჰაერიდან მოტანილი „დასკვნები“ — „მთავრობის მოქმედებებმა, მათ შორის, მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმების შეფერხებამ ან დაგვიანებამ, გამოიწვია უკუსვლა“ —** მორჩა და გათავდა.

არადა, **კომპეტენტური და შესაბამისი პასუხისმგებლობით აღჭურვილი საერთაშორისო ორგანიზაციები სრულიად განსხვავებულ დასკვნებს აქვეყნებენ დემოკრატიის, სამართლის, ეკონომიკის განვითარების მიმართულებით განხორციელებული რეფორმების შედეგებთან დაკავშირებით.** ისევ ფაქტების (ციფრების, რეიტინგების) აღქმებით გადაფარვის სამარცხვინო მცდელობებთან გვაქვს საქმე.

ძალა სიმართლეშია!!! სიმართლის მთქმელთა ახლად დაფუძნებული, ხელისუფლებასთან ტანდემში მოქმედი (მნიშვნელობა არა აქვს ეს შეთანხმებით ხდება თუ შეუთანხმებლად) გაერთიანება, „ხალხის ძალა“ გეგმაზომიერად აფართოვებს არეალს და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, **ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები, იდეოლოგიური თემატიკა შემოაქვს დღის წესრიგში.**

რა დასამალია, **ამერიკელი და ზოგადად დასავლელი „მეგობრების“ მხრიდან „ქართული ოცნების“, როგორც პარტნიორის, მიუღებლობის მთავარ საფუძველს წარმოადგენს** (რეალური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასთან ერთად) **მათ სამყაროში დომინანტურ ნეოლიბერალურ იდეოლოგიასთან საქართველოს მმართველი პარტიის პოზიციების სრული შეუთავსებლობა.**

დონალდ ტრამპის მიერ სამყაროს მოწყობასთან დაკავშირებით მარტივი ფორმულით გამოხატულმა დამოკიდებულებამ — **„კაცი კაცია, ქალი კიდევ ქალი“** — ნეოლიბერალების მიერ შეკოწიწებულ „ახალ თავისუფლებას“ ბზარი გაუჩინა. **არჩევნების მოსაგებად „ყველაფერზე წასულმა“ ბაიდენის გუნდმა უკვე მეორედ ვერ ჩააბარა დემოკრატიის გამოცდა.** დემოკრატიის მთავარ ციტადელში, ბოლო რამდენიმე წელია, მთელი ძალით მუშაობს (მძვინვარებს) პრინციპი — **„მიზანი ამართლებს საშუალებებს“.**

მსოფლიოს რთული პერიოდი უდგას. რთული პერიოდი გვიდგას ჩვენც: **ერთი მხრივ, ჩვენს მიერ კონტროლირებად 80%-ში, ყალბ იდეოლოგიასა და გაყალბებულ არჩევნებზე მდგარ მონსტრთან ვართ პირისპირ დარჩენილი, ხოლო ოკუპირებული 20%-დან მეორე მონსტრი გვესაუბრება ტანკებისა და ზარბაზნების ენაზე.**

კიდევ ერთხელ გავიმეორებ მრავალჯერ თქმულს — **ჩვენი ძალა სიმართლეშია!** მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ მხოლოდ შიშველი სიმართლის იმედად ვერ ვიქნებით. **სისხლით მოპოვებული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად ქმედითი მექანიზმებია შესამუშავებელი.** ჩემი თვალთახედვით, აღნიშნული მიმართულებით **„ხალხის ძალამ“ უნდა იტვირთოს ინიციატორის მეტად საპასუხისმგებლო როლი.**

პრობლემებთან შესაჭიდებლად არ არის აუცილებელი ახალი ველოსიპედის გამოგონება. უბრალოდ, **განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში წარმატებით მოქმედი, სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტების დამცავი საშუალებების კოპირება იქნება საჭირო.**

საფრთხეები თვითონ გვკარნახობენ საქმიანობის მიმართულებებს და უახლოეს მომავალში გადასადგმელი ნაბიჯების შინაარსს:

1. შემუშავდეს **კანონი მედიის შესახებ,** რომელიც უზრუნველყოფს სიძულვილის ენის ბრძოლის იარაღად გამოყენების აკრძალვას, საზოგადოების წევრებისა თუ წარმომადგენლობების ცილისწამებისა და შეურაცხყოფისგან დაცვას, შეზღუდავს ცრუ ინფორმაციის გავრცელებას;
2. შემუშავდეს **კანონი უცხოური ფულით პოლიტიკის დაფინანსების აკრძალვის შესახებ** (იგულისხმება დაფინანსების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი საშუალებების გამოყენება, მაგალითად, ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, მედია-სუბიექტების და სხვ.);
3. შეიქმნას **2008 წლის აგვისტოს ომისა და მისი თანმდევი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის შემუშავების გარემოებების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია.**

დაგროვილი ინფორმაციიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ საქმე გვაქვს დიდი მასშტაბის სავარაუდო სახელმწიფო დანაშაულთან.

შედეგებიდან გამომდინარე, კომისია შეიმუშავებს და წარმოადგენს პოლიტიკურ შეფასებას და აუცილებლობის შემთხვევაში, მოპოვებულ მასალას გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს. ომთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენებისთვის შესაბამისი სახელების დარქმევის გარეშე, ქვეყანაში მშვიდობისა და ერთიანობის გარემოს შექმნისთვის აუცილებელ სამართლიანობის აღდგენას ასრულება არ უწერია.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მიერ ჩვენს მიმართ ორმაგ სტანდარტებზე აწყობილი ურთიერთობების პირობებში ამის გაკეთება არ იქნება იოლი ამბავი, მაგრამ მწამს, რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ სწრაფვას წინ ვერაფერი დაუდგება.

ბიძინა დვალი,
11.11.2022 წ.

ლევან ნიკოლეიშვილი:
კურტ ვოლკერი ის „ყმაწვილია“, რომელიც საქართველოს ნატოში „ექაჩება“, ოღონდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე!

ექსპერტი **ლევან ნიკოლეიშვილი** სოციალურ ქსელში აზიარებს დავით კეზერაშვილისა და ამერიკელი მაღალჩინოსნის, კურტ ვოლკერის შეხვედრის ფოტოს და წერს, რომ კურტ ვოლკერი ის „ყმაწვილია,“ რომელიც საქართველოს ნატოში „ექაჩება,“ ოღონდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე!

„რა არის ახლა ქვემოთ მოყვანილ სურათებში უჩვეულო ან გასაკვირი? კაცმა რომ თქვას არაფერი, ერთგან ორი ადამიანი მენიუს უყურებს, მეორე კი ქორწილის სურათია. რა არის ამ სურათებში ყველაზე ლამაზი, გეთანხმებით — თაიგული, დიახ ყვავილების თაიგული! რაც შეეხება ადამიანების თაიგულს, აქ სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ძებნილი, ბრალდებული, ნაცების და მათი ტელევიზიების დამფინანსებელი კეზერაშვილი, „კრიტიკული“ მედიის „თვალსაჩინო“ წარმომადგენელი ეკა კვესიტაძე და „ჩვენი ამერიკელი მეგობარი“ კურტ ვოლკერი! კეზერა და კვესიტაძე კი ვიცით ვინც არიან, ვოლკერზე კი შეგახსენებთ, ეს ის „ყმაწვილია“, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება არ უყვარს (განსხვავებით წინა ხელისუფლებისა), და საქართველოს ნატოში რომ „ექაჩება,“ ოღონდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე! ჰოდა ამ ფონზე და ამ სურათებში ყვავილების თაიგული რომ არის ყველაზე ლამაზი, რა გასაკვირია!“, — წერს ნიკოლეიშვილი.

გერმანელმა ჟურნალისტმა, რომელიც ე.წ. ქოლცენტრების, ანუ ევროპელი პენსიონერების მასშტაბური ძარცვის საქმეს იძიებს, ქართულ გამოცემას მოაწოდა ფოტო, სადაც საქართველოში ოპოზიციის მთავარი დამფინანსებელი, დავით კეზერაშვილი ამერიკელ ყოფილ მაღალჩინოსანთან, კურტ ვოლკერთან ერთად არის გადაღებული.

ჯუანშერ ბურჭულაძე:
2023 წლის განმავლობაში ქვეყანა ახალ შეიარაღებას შეისყიდის!

თავდაცვის მინისტრმა **„რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა, რომ 2023 წლის ბიუჯეტის მთავარი მიმართულებები სამხედრო მოსამსახურეების ანაზღაურების ზრდა და შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების გაფორმება იქნება. მისივე თქმით, მომავალ წელს თავდაცვის უწყება 25%-ით გაზრდილ ბიუჯეტს მიიღებს; ეს ბიუჯეტი არის დივერსიფიცირებული ასევე, ხარჯვით ნაწილშიც.**



ბურჭულაძემ პრემიერ-მინისტრის დაპირება კიდევ ერთხელ აღნიშნა და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა:

„თქვენ ნახეთ პრემიერის დაპირება, რომ იანვრიდან ანაზღაურება 20 პროცენტით გაიზრდება. 2024 წლის იანვრიდან სამხედრო მოსამსახურეების ანაზღაურება კიდევ 20 პროცენტით გაიზრდება. ეს გაგვიყვანს იმ შედეგზე, რა მიზანსაც ჩვენ ვისახავთ. აქაც ვიქნებით ძალიან პრინციპულები. მადლობა მინდა, გადავუხადო პრემიერს დიდი მხარდაჭერისთვის ყველა მიმართულებით“.

მომავალი წლის ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად თავდაცვის მინისტრმა შეიარაღების შესყიდვა დაასახელა და აღნიშნა, რომ 2023 წლის დასაწყისში შეიარაღების შესყიდვასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები დაიდება.

„შესყიდვების ბიუროკრატიული ნაწილი უკვე თითქმის დასრულებულია. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ძალიან რთულია, მარტივად აღარ არის ხელმისაწვდომი შეიარაღება არც ევროპაში და მთელს მსოფლიოში, ჩვენ მაინც მოვახერხეთ და ეს პროცესი გავიარეთ. 2023 წლის დასაწყისში ჩვენ დავდებთ რამდენიმე მსხვილ შესყიდვის ხელშეკრულებას ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან“...

სეტყვამ ვერაფერი დაგვაკლო!

ჯუანშერ ბურჭულაძის თქმით, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მაღალეფექტიანობა დადებითად აისახა წლევანდელ უხვმოსავლიან რთველზე კახეთში.

„წელს კახეთში სეტყვის 277 რისკის ზონა გამოვლინდა და 95%-იანი შედეგით იმუშავა ჩვენმა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემამ, რომელიც არის სრულად განახლებული. გვქონდა არნახული შედეგი, ფაქტობრივად ზიანი არ მიგვიღია“, — განაცხადა ბურჭულაძემ.

მინისტრმა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის თანამშრომლებს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კვლავ გაგრძელდება.

„ეს სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწება და გაუმჯობესდება, ჩვენ ვგეგმავთ სისტემების გაფართოებას. არის სხვადასხვა მოტივები, რის გამოც ჩვენ არ შეგვიძლია ამ სისტემების ქალაქების თავზე გამოყენება, არ შეგვიძლია საფრენ მონაკვეთებში სისტემების გამოყენება და სხვა, თუმცა, ის შედეგი, რაც ჩვენ წელს მივიღეთ, იყო იდეალური და ვეცდებით, რომ ყოველ წელს გვქონდეს ანალოგიური შედეგი“, — დასძინა ბურჭულაძემ.

ბრძოლა ფინანსური ლიდერობისთვის

ნაცმოძრაობის სიკვდილისწინა „ჭინთვები“

არის ასეთი გამოთქმა, „ისტორიაში შეიძლება მოხვდე, ან ისტორიაში შეიძლება გაეხვე“, შეიძლება ითქვას, რომ „ნაცმოძრაობა“ მორიგ მძიმე ისტორიაში გაეხვა, მას შემდეგ, რაც პარტიის წევრთა საკმაოდ ანგარიშგასაწევმა ნაწილმა პარტიის თავმჯდომარის ხელახალი არჩევნები მოითხოვა. ისე რომ არ გამოსულიყო, თითქოს ეს პერსონალურად ამჟამინდელი თავმჯდომარის ნიკანორ მელიას წინააღმდეგ მიმართული დემარში იყო, „აჯანყებულებმა“ პარტიის პოლიტსაბჭოს და მმართველი სტრუქტურების ხელახალი არჩევნები მოითხოვეს.

გულუბრყვილო ადამიანიც კი არ დაიჯერებს, თითქოს „აჯანყებულებს“ ერთ ღამეში მოუვიდათ აზრად, რომ მელიას თავმჯდომარეობა ახალ ლეგიტიმაციას საჭიროებდა და სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა შემთხვევით შეირჩა ბრიფინგისათვის. ეს „სკანდალური“ ბრიფინგი რომ მელიას ჩაძირვის შეთქმულების ნაწილი იყო, კარგად გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მელიასთან დაპირისპირებულმა „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა ნელ-ნელა დაიწყეს „კარტების გახსნა“. ისინი უკვე ღიად აცხადებენ, რომ მელიამ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს, და თუ მიიღებს, აუცილებლად დამარცხდება.

მელიას რამდენიმე მხრიდან უტევენ. მის წინააღმდეგ მოქმედებს „ნაცების“ ძველი გვარდია — კეზერაშვილ-მერაბიშვილის დუეტი, რომლებიც მელიამ პარტიას ჩამოაშორა და საჯარო სივრცეში საკმაოდ უარყოფითი ეპიტეთებით შეამკო. მელიას პარტიის ლიდერობიდან ჩამოშორება სურს სააკაშვილის ოჯახობას, რომელიც უკმაყოფილოა იმით, რომ მელიამ სააკაშვილის გათავისუფლების საკითხი პარტიის მთავარ პრიორიტეტად არ დააყენა. სააკაშვილის ოჯახის ფავორიტის გიორგი ჩალაძის კანდიდატურის წამოყენება „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობაზე მიუთითებს, რომ „ოჯახი“ აქტიურად არის ჩართული პარტიულ საქმეებში. ჩალაძის ნომინაციამ სრულიად გააუფასურა ეს პროცესი, თუ სოციალური ქსელების რეაქციით ვიმსჯელებთ,

ასევე ღიმილისმომგვრელია ის, რომ „ნაცმოძრაობამ“ სპეციალური სამუშაო ჯგუფი შექმნა თავმჯდომარის არჩევის წესის შესამუშავებლად, თითქოს პარტიის წესდებაში ეს არ იყოს გაწერილი. შესაბამისად, „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევა ერთ დიდ ტრაგიკომიკურ სპექტაკლს ემსგავსება.

რა თქმა უნდა, მელიას ჰყავს მომხრეებიც. ის ყველანაირად ცდილობდა რადიკალური ლიდერი ყოფილიყო, რომ „ნაცმოძრაობის“ ანსამბლში მაქსიმალურად ჩაწერილიყო, მისი რადიკალიზმის დონე, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა მისაღები „ნაცმოძრაობის“ რეალური პატრონებისთვის და უპირველეს ყოვლისა სააკაშვილის ოჯახისთვის, რომელთანაც მელიამ ვერანაირად ვერ დაალაგა ურთიერთობები და შედეგმაც არ დააყოვნა. ნათქვამია, სხვის მეჩეთში შენი კანონებით ვერ შეხვალო. მელიას „რეფორმები“ პარტიის დიდი ნაწილისთვის, მათ შორის ვეტერანებისთვის ბოლომდე მოსაწონი არ აღმოჩნდა, რადგან პარტიაში მათ მდგომარეობას შეეხო.

ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, „ნაცმოძრაობამ“ რამდენიმე შიდაკონფლიქტი გადაიტანა. კონფლიქტის ძირითადი მიზეზი პარტიაში ლიდერობისთვის და ფინანსებისთვის ბრძოლა იყო. ყოველი ასეთი შიდაკონფლიქტით ნაცების პოლიტიკური, რეპუტაციული და მორალური დეგრადაციის პროცესი ღრმავდება, და შეუძლებელია ამან უარყოფითი გავლენა არ იქონიოს მის ამომრჩევლებსა და მხარდაჭერებზე. მათი უმრავლესობა საშუალო სტატისტიკური ქართველია და შეუძლებელია მათ მოსწონდეთ ის, რაც პარტიაში ხდება, შეუძლებელია მათ მოსწონდეთ ის, თუ როგორ იქცევა საკაშვილი, რომელიც მათთვის ბელადი და წინამძღოლი იყო და დღეს ეს იმიჯი ფაქტობრივად დაკარგული აქვს.

„ნაცმოძრაობის“ დეგრადაციის პროცესს ვერც კოლექტიური კუბილიუსები შეაჩერებენ ხელოვნურად, რამდენი რეზოლუციაც არ უნდა წერონ მათი დაკვეთით. იმისათვის, რომ ეს პროცესი ლოგიკურ ფინალამდე მივიდეს, რაც ნიშნავს პოლიტიკური რუკიდან „ნაცმოძრაობის“ გაქრობას, „ნაცმოძრაობამ“ საბოლოოდ უნდა დაკარგოს ყველანაირი ლეგიტიმაცია. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი უკვე შეუქცევადად დაწყებულია და როდის გაფორმდება ოფიციალურად, მხოლოდ დროის ამბავია.

ზაალ ანჯაფარიძე

როგორც არ უნდა ვიწვალოთ და ვიმიტინგოთ, ჰესები აუცილებლად გვჭირდება!

„ნამახვანჰესის“ ინვესტორმა, თურქულმა კომპანია „ენკამ“ არბიტრაჟს მიმართა, მაგრამ როგორც ეკონომიკის მინისტრი ამბობს, მიუხედავად ამისა, პროექტი სტრატეგიული მნიშვნელობისაა და ის აუცილებლად განხორციელდება.

„ენკამ“ ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო და არბიტრაჟს მიმართა, თუმცა კომპანიასთან დიალოგის რეჟიმში ვართ. საუბარია სხვადასხვა ტიპის ცვლილებაზე, რომელიც შეიძლება არსებულ შეთანხმებაში შევიდეს, რადგან ეს მნიშვნელოვანი, სტრატეგიული პროექტი განხორციელდეს. ამ ფორმატით, თუ სხვა ფორმატით, ეს პროექტი აუცილებლად განხორციელდება. უახლოეს პერიოდში მოლაპარაკებების შედეგად დამატებითი ინფორმაცია გვექნება“, — განაცხადა **ლევან დავითაშვილმა.**

ენერგეტიკოსი **გია არაბიძე** „კომერსანტთან“ ჰესების მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ პროექტში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სოციალური მიმართულება, რომ ავიცილოთ ხალხის გამოსვლები და ამის გამო ინვესტორების ქვეყნიდან გასვლა.

„როგორც არ უნდა ვიწვალოთ ჩვენ და როგორც არ უნდა ვიმიტინგოთ, აუცილებლად დაგვჭირდება ჰესების აშენება, რადგან ამის გარეშე უკვე ველარ გავდივართ. ერთადერთი რაც გვაქვს, ეს არის ჩვენი ჰიდრორესურსი და მოხმარება კი ვხედავთ ყოველთვიურად როგორ იზრდება, გენერაციის დაწევა კი არ ხდება. თუმცა, სხვა საკითხია, რა სიმძლავრის, რა პროექტის და რა იდეოლოგიის ჰესი უნდა ავაშენოთ. პირველ ეტაპზე უნდა შევთანხმდეთ, რომ გვჭირდება და უნდა აშენდეს, პრიორიტეტების მიხედვით გვჭირდება ჰიდრო ანუ განახლებადი ენერგია და შემდგომ სხვა დანარჩენი. მეორე ეტაპზე პროექტზე ცალკე უნდა ვიმსჯელოთ. პირველად უნდა დასაბუთდეს ამ სადგურის ენერგეტიკული საჭიროება, აქვს თუ არა ქვეყანას ენერგეტიკულად მოთხოვნა მისი მშენებლობისთვის. შემდეგ უნდა ვნახოთ ეკონომიკურად ეს სადგური რამდენად არის მისაღები, შემდეგ ეკონომიურად არის თუ არა მისაღები ქვეყნისთვის და ეკოლოგიურად რამდენად უსაფრთხოა, ეს ყველა კომპონენტი რომ გაერთიანდება, მერე უნდა დავკრათ ბარი და დავიწყოთ მშენებლობა. ბუნებრივია, პროექტში სასიცოცხლოდ უნდა იყოს გათვალისწინებული სოციალური მიმართულება, რომ ავიცილოთ ხალხის გამოსვლები და ამის გამო ინვესტორების გასვლა“, — აღნიშნავს **გია არაბიძე.**

2021 წლის სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ ENKA-მ, რომელიც რიონის ხეობაში ნამახვანჰესს აშენებდა, საქართველოს მთავრობას ხელშეკრულების გაწყვეტის შესახებ აცნობა.

რუსი მიგრანტების მომგებიანობაზე საუბარი გადაჭარბებულია,

ეს საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მხოლოდ 1 პროცენტია!

ეკონომიკის ექსპერტი **ვახტანგ ჭარაია** უარყოფს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში გადამწყვეტ როლს მიგრანტების, კერძოდ რუსი მიგრანტების, ზრდა თამაშობს.

„რუსების ჩამოსვლას, რა თქმა უნდა, რაღაც ეფექტი აქვს, მათ გარკვეულ თანხა ჩამოიტანეს, ეკონომიკურ „დაბუსტვას“ აკეთებენ, თუმცა, ეს ქვეყნის ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მხოლოდ 1%-ია და არავითარ შემთხვევაში რუსებზე არ ვართ დამოკიდებული 5 ან 10%-ით. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო პერიოდში, რუსეთიდან 112 000 ადამიანი ჩამოვიდა, საიდანაც მხოლოდ 1/4-ია ისეთი რუსი, ვინც აქ რჩება, შემოსულების ნახევარი ქართველები არიან, დანარჩენები - მესამე ქვეყანაში გადავიდნენ; საუბარია იმაზეც, რომ რუსებმა საქართველოში 1 მილიარდი დოლარი ჩამოიტანეს. მაგრამ ამ თანხას ისინი ერთბაშად ხომ არ დახარჯავდნენ? ამიტომ, რუსეთის ფაქტორი ქართული ეკონომიკისთვის გადაჭარბებულია“, — განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალზე საუბრისას, ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ დღეის მდგომარეობით, ამ ნაწილში რუსეთის ჩანაცვლება ვერ მოხდება.

ექსპერტის თქმით, პირობითად, რუსეთ-უკრაინის ომი მალე რომ დამთავრდეს, ევროპული და აზიური ქვეყნები ისევ რუსეთის გზას დაუბრუნდებიან იმიტომ, რომ ამ გზას თავისი უპირატესობა აქვს — ტვირთი ერთი ქვეყნის გავლით მიდის და მინიმალური ბარიერებია. ექსპერტი მიიჩნევს, რომ გამოსავალი ახალი დერეფნის ჩამოყალიბებაა, სადაც ერთიანი ტარიფი იქნება და მთელი ტვირთი ერთი ფანჯრის პრინციპით გაივლის.

ექსპერტის აზრით, რუსეთის დასანქცირებამ საქართველოს ახალი შესაძლებლობები მრავალი კუთხით გაუხსნა. პირველ რიგში ტრანზიტის მიმართულებით.

„ომის და რუსეთის დასანქცირების გამო საქართველოს მონაკვეთზე ტვირთების გამტარობა რამდენჯერმეა გაზრდილი. თუმცა, ეს ხანგრძლივ პერსპექტივად არ შეიძლება განვიხილოთ. რუსეთის გზის ალტერნატივად საქართველოს გზა რომ იქცეს, ამისთვის ჯერ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტებია განსახორციელებელი. ჩვენ ამჟამად მხოლოდ იმ ტვირთის 10%-ის გატარება შეგვიძლია, რასაც ომამდე, ევროპასა და აზიას შორის, რუსეთის ტერიტორიაზე ატარებდნენ. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, ჩვენ რუსეთს ვერ ჩავანაცვლებთ, მაგრამ ის 10%-ი სრულად თუ ავითვისეთ, საქართველოსთვის ძალიან კარგი იქნება“, — განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

მაკა ბიბილაშვილი



ვანოს შოუს „ქუდი“ მუსიკის განვითარებაში...

ამ რამდენიმე ხნის წინ მეოთხე კლასის მუსიკის სახელმძღვანელოში წავაწყდი ერთ-ერთი გაკვეთილის თემას „გადაცემის ქუდი“ და იქ ნანახზე ფეისბუკ-პოსტი დავწერე:

– ამათ ხომ არ აურიალებთ!

ეს პოსტი ცოტა უფრო შიშხათიანი სიტყვებით მინდოდა დამეწყო, მაგრამ მაინც განათლების სამინისტროა და თავი შევიკავე.

მეოთხე კლასის მუსიკის სახელმძღვანელოში (გაკვეთილის თემა „გადაცემის ქუდი“) ორ ადგილას არის „THE ვანოს შოუს“ ლოგო.

ახლა არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ როგორი გადაცემაა „THE ვანოს შოუ“ და არც ამ გადაცემის მუსიკალურ ქუდზე, რადგანაც ეს სხვა თემაა.

ყურადღება მინდა გავამახვილო ჯერ ამ სახელმძღვანელოს ავტორებზე და შემდეგ (პრინციპში უფრო მეტად) იმ ხალხზე, ვინც ეს სახელმძღვანელო „შექმნა“ და ვინც შემდეგ მოიწონა.

ალბათ იმ ხალხმა არ იცის, რომ ბავშვისთვის წიგნში და განსაკუთრებით სახელმძღვანელოში ჩაწერილი ნებისმიერი რამ ავტორიტეტია და მის გონებაში როგორც სამაგალითო, ისე ილექება.

დავიჯერო, ავტორებს სხვა ისეთი გადაცემა არ უნახავთ (თუნდაც უცხოური), რომლის სახელმძღვანელოში მითითება ბავშვების ინტელექტის განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე „THE ვანოს შოუა“?

კარგი, დავუშვათ, რომ მათ არ უნახავთ. ნუთუ განათლების სამინისტროს იმ ქვედანაყოფში, რომელიც სახელმძღვანელოების შერჩევაზე მუშაობს, ტელევიზორი არა აქვთ და საერთოდ მოწყვეტილნი არიან სამყაროს? დავიჯერო, რომ მათთვის „THE ვანოს შოუს“ მუსიკალური ქუდი იდეალური ვარიანტია?

თუ მათ (ყველას, ავტორებიდან დაწყებული, იმ კომისიით დამთავრებული), ამაზე არ უფიქრიათ, მარაზმია (ანუ რა ქნეს? მიაფურთუხეს?) და თუ იფიქრეს და მაინც ასე ასწავლიან ბავშვებს – დანაშაული!

სამწუხაროდ მომიწევს და თავს უფლებას მივცემ ჩემი აზრი მქონდეს ამ ხალხის ინტელექტზე, პედაგოგიკაზე და საერთოდ ამ სისტემის საქმიანობაზე (ცხადია, საშინლად უარყოფითი, რადგანაც როცა დღეს ჩემს მეგობრებს ეს ამბავი მოვუყევი, იმდენი ლაფსუსი ჩამომითვალეს, რომ მაშინვე ის სიტყვები მომივიდა თავში, რითიც ამ წერილის დაწყებას ვაპირებდი).

მაგალითად, ასეთი ლექსიც ისწავლება – შემოდგომას რატომ ჰქვია შემოდგომა და რატომ არ ჰქვია მიდგომა!

ძალიან გთხოვთ, კომენტარებში არ დაიწყოთ -— იცი რა კარგი მშობლების შვილები არიან, ყველა სამეცნიერო ხარისხითაა, დილით მეზობლებს თბილი ღიმილით გვესალმებიან დ.ა.შ.

უკაცრავად ჟარგონისთვის, მაგრამ არც ჩვენ ვართ „ფრაერები“.

მივმართავ ხელისუფლებას – დროზე მიხედეთ განათლების სიტემას. დროზე, თორემ მე ჩემს შვილებს გრიგის მუსიკას ვასმენინებ და ლადო ასათიანის ლექსებს ვუკითხავ.

პოსტს საკმაოდ ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. 379 მოწონება, 167 კომენტარი და 55 გაზიარება.

გამოხმაურებებში მკითხველები ყოველმხრივ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავდნენ არა მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი მასალების მიმართ, არამედ ძალიან გაბრაზებულნი იყვნენ განათლების სამინისტროს საქმიანობით.

ედიშერ გვენეტაძე:

სრულ სიმართლეს წერთ, ბნ-ო გია. ყოველ სიტყვაზე გეთანხმებით. და ეს ხდება იაკობის, ილიას, ისიდორე რამიშვილის.... სამშობლოში. საინტერესოა, ვინ ადგენს ამ სახელმძღვანელოებს და მერე ვინ აძლევს მწვანე შუქს ბავშვებისათვის.

ბალათურ არაბული:

გეთანხმებით!.. სახელმძღვანელოების შედგენის სფეროში, როგორც ჩანს,არის სრული განუკითხაობა!..

ბავშვებს სთავაზობენ ისეთ თემებს, ისეთ ტექსტებს და ისე დაწერილს, რომ დიდებსაც გაუჭირდებათ აღქმა და გაგება!.. აშკარაა, რომ ამ საქმეში ბევრი დილეტანტი და ბავშვის ფსიქოლოგიის უცოდინარია ჩართული!..

კარგი იქნება თუ ამაზე სპეციალისტები და მშობლებიც ამოიღებენ ხმას!..

თეა თაბაგარი:

ისეთები ხდება განათლების სისტემაში, ეს მიკვირს?

მარეხ მამულაშვილი:

ეს რა არის? რატომ უქვეითებენ ბავშვებს გემოვნებას. ფსკერისკენ რატომ ექაჩებიან!

დალი ქუნჭულია:

განათლების სისტემა, კაიხანია, ჩამოშლილია და როდის რა ეშველება, კაცმა არ იცის!

ქეთინო ვარდიაშვილი.

ეეე, ჩემო გია, შენ ახლა გადააწყდი უმსგავსობას, აბა მერე და მერე ნახე... განათლების სისტემა ნულზე ქვემოთაა კაი ხანია!

გიორგი იაკობაშვილი:

განათლების სამინისტრო, თავისი ილიაუნით, არის ნაცების, ანუ მკვლელებისა და მოძალადეების ბუდე. ასე გრძელდება 10 წელი და ბოლო არ უჩანს!..

მაია სახოკია:

განათლების სისტემა 0-აო რომ თქვა, არასწორი იქნება, ის სადღაცაა კიდევ უფრო ქვემოთ და სახელიც არ აქვს საქართველოს განათლების სისტემას. სახელმძღვანელოები ხომ... ნუ იტყვი რა...

და კიდევ ბევრი მსგავსი შეფასება.

ცხადია განათლების სამინისტროს წარმომადგენელიც გამომეხმაურა, რომელიც ჯერ რაღაც სისულელეებს წერდა, შემდეგ პირად მიმოწერაში დამიწყო კამათი და დებატებში გამომიწვია. რადგანაც სპეციალისტი არ ვარ, უარი ვუთხარი (იგივეა, რომ გამოვხატო ჩემი უარყოფითი აზრი „შტანგის“ აწევასთან დაკავშირებით და რომელიმე მწვრთნელმა დებატებში გამომიწვიოს). მთავარი კი ამ ჩვენს მიმოწერაში (რომელიც სამწუხაროდ არ შევინახე და ახლა როცა მოძებნა ვცადე, წაშლილი დამხვდა) იყო ფრაზა, რომელიც მან მომწერა – რომ იცოდეთ – „ვანოს შოუს“ ბავშვების 90% უყურებს და დიდი მოწონება აქვს. ამიტომ ის მაღალრეიტინგული შოუა.

ჯერ ერთი, როგორ დათვალა, თუ რამდენი ბავშვი უყურებს ამ შოუს? და მეორეც – თუ ბავშვების 90(-ს ეს მდაბიო და ყოვლად უგემოვნო გადაცემა მოსწონს, ჩვენი მომავალი თაობის საქმე ძალიან ცუდად ყოფილა და მართლაც განგაშის ზარები უნდა დავარისხოთ!

ახლა გეტყვით, თუ რატომ გამახსენდა ეს ფეისბუკ-სტატუსი ამდენი ხნის შემდეგ:

პარასკევს ვუყურე „ვანოს შოუს“ ერთ „სკეტჩს“, სადაც თათია სულიაშვილი და თამუნა ლეკვეიშვილი ქუთაისელი მოვაჭრეების როლებს თამაშობდნენ. მთელი სკეტში სულ „დამპლის შვილო“ და „შტეროზე“ იყო აწყობილი და ეს ფრაზები დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში განუწყვეტლივ ისმოდა.

როდესაც არსებობს გადაცემა, რომელშიც ეს ფრაზები ისმის და გადაცემის ავტორები ამ მეთოდით ცდილობენ ნახვადობის (ნახვადობის და არა რეიტინგის) გაზრდას, ეს გადაცემა უნდა აიკრძალოს და ავტორებს გარკვეული სანქციები უნდა დაუწესდეთ, ხოლო განათლების სამინისტროს ის თანამშრომლები, რომელსაც ამ გადაცემის ლოგო სკოლის სახელმძღვანელოში შეაქვს, არამც თუ გასაშვები, არამედ ქუჩაში გასაყრელები არიან ბავშვების გონებრივი დეგრადაციის მცდელობისთვის!

ვერ გეტყვით განათლების მინისტრის შთამომავლები ამ სახელმძღვანელოთი სწავლობენ თუ არა, ან სულმოუთქმელნი ელოდებიან „ვანოს შოუს“ დაწყებას (რატომღაც მგონია, რომ არა), მაგრამ ის რომ ამ კაცმა საერთოდ არ იცის, თუ რა ხდება მის სისტემაში, ეს ნამდვილად ცხადია.



დიახ, არ იცის და მინდა ვუთხრა, რომ განათლების მინისტრობა, ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებულ ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში თვეში ერთხელ ფოტოების გადაღება არ არის.

იმ ბიძინა ივანიშვილის, რომელსაც ამ შოუში გამუდმებით ლანძღავენ, აბულინგებენ და ამ ბულინგის მთავარი შემოქმედის ფოტო მისგან ნებადართულ სახელმძღვანელოშია შეტანილი (აღარაფერს ვიტყვი ყოვლად მახინჯ სხვა „ნაწარმოებებზე“, რომლებიც უხვადაა ჩვენი მომავალი თაობის აღსაზრდელი სახელმძღვანელოებში).

ახლა არ მითხრათ, იუნისეფი აფინანსებს განათლების სისტემას და მათი მოთხოვნები უნდა შესრულდესო.

ვთქვათ, იმ „მრავალ-სერთიფიკატებიანებმა“ არ იციან, მაგრამ მინისტრმა უნდა იცოდეს გურამ გაბესკირიას სიტყვები – Никогда в жизни! უნდა იცოდეს გიორგი ანწუხელიძის გმირობა, რასაც მათ თავიანთი სიცოცხლე შესწირეს.

დიახ, იმ ბავშვებისთვის შესწირეს, ვის გონებასაც ეს უკუღმა-მედასავლეთეები ამახინჯებენ.

იუნისეფის ზეწოლა კი არა, ომს გვტენიან დღეში 17-ჯერ, ბიძინას აშანტაჟებენ, იმ რაღაც „კანდიდატის სტატუსს“ არ გვაძლევენ და ამას უმკლავდება ხელისუფლება და რით აშინებენ ამ „ჩვენი“ განათლების სამინისტროს მუშაკებს, რომ ვერ გაუძლეს? ვერ დადგნენ იქ, სადაც სახელმწიფო მოხელეები წესით უნდა იდგნენ? კარგია გრანტის მაყუთი?

არ მითხრათ ახლა ეს ფული, პათეტიკა არ გინდაო. დიხ, ზუსტად ეს პათეტიკა მინდა. ამ მაგალითებზე უნდა გაიზარდოს მომავალი თაობა და არა „ვანოს შოუებზე“!



უმორჩილესად ვთხოვ ხელისუფლებას – დროზე უშველეთ განათლების სიტემას. დროზე უშველეთ, თორემ ის მაღალი რეიტინგები, რასაც სხვადსხვა ეკონომიკური მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციები გვაძლევენ, ოხრად დაგვრჩება.

გია გაბრიჭიძე

სასკოლო სახელმძღვანელოების საეჭვო გაღაცდომები

ხელოვნების უმშვენიერეს ნაწილს ლიტერატურა წარმოადგენს, რომლის უპირველესი მოვალეობაა დაამკვიდროს მშვენიერება, აამაღლოს სულიერება... დახვეწილი გემოვნების უზადო გამოსხივებით, სევდის თუ ტკივილის, სიყვარულის თუ სიძულვილის, ბოროტებისა და სიკეთის გამოხატვით აღზარდოს საზოგადოება. ყველას ვალია პოეზიისა და პროზის უსასრულო შესაძლებლობებით, მისი კრიალა ცითა და ვარსკვლავებით გავაბედნიეროთ, სულიერი საზრდო მივცეთ ჩვენს მოზარდ თაობას. ამ მიმართულებით უპირველესი, ეროვნული პასუხისმგებლობაა, ყოველმხრივ სრულყოფილი სასკოლო წიგნები მოსწავლეებს, გაჯერებული მაღალმხატვრული ნაწარმოებებით მივაწოდოთ.

იხ. 9 გვ.

მელას მოლანდებების ახალი ზღაპრები

მოსკოვის მიერ უკრაინასთან „წინაპირობების გარეშე“ თუ „არსებული რეალიების გათვალისწინებით“ მოლაპარაკების თემის ინტენსიფიკაციის ფონზე ყურადღება მიიქცია რუსი პოლიტოლოგის, ისტორიკოს ვალერი სოლოვეის ცნობებმა რუსეთისთვის მიწოდებული პირობების შესახებ, რომლებიც, მისივე ინფორმაციით, უკრაინულ მხარესთან უკვე შეთანხმებულია. პირობები, რომელთაც რუსი პოლიტოლოგი მოსკოვის კაპიტულაციად აფასებს, კერძოდ, ასე გამოიყურება:

1. რუსეთის შეიარაღებული ძალები უკრაინას სრულად ტოვებენ (დონეცკისა და ლუჰანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების ტერიტორიების ჩათვლით, რომლებიც რუსეთს უკვე „ფედერაციის სუბიექტებად“ აქვს გამოცხადებული);

2. ყირიმის სტატუსის საკითხი 7 წლით „იყინება“, თუმცა ნახევარკუნძული დემილიტარიზებულ ზონად ცხადდება (პოლიციასა თუ მესაზღვრეებს მხოლოდ სასროლი იარაღის ფლობის უფლება შეიძლება, ჰქონდეთ);

3. რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ყირიმს ტოვებს;

4. რუსეთსა და ბელარუსთან უკრაინის საზღვრებზე ყალიბდება 100 კმ სიგანის დემილიტარიზებული ზოლი, რომელშიც მძიმე შეიარაღების გამოჩენა იკრძალება;

5. რუსეთი დნესტრისპირეთს ტოვებს (მხედველობაშია იქ არსებული რუსული სამხედრო ბაზა);

6. 2023 წელს დნესტრისპირეთის რეგიონი რეინტეგრირდება მოლდოვას შემადგენლობაში და რუსეთი ვალდებულებას იღებს, ამას ხელი არ შეუშალოს.

6 პირობის სანაცვლოდ უკრაინა იღებს ერთადერთ ვალდებულებას, – 7 წლის განმავლობაში ნატოში არ გაწევრიანდეს.

რატომ არ ფიგურირებს კრემლისთვის წაყენებულ სავარაუდო პირობებს შორის საქართველო?!

ომის აღდგენა, ყველა ზიანის ანაზღაურება, ომის დამნაშავეთა დასჯა და მტკიცე გარანტიები, რომ მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდება. მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ჩვენი მოკავშირეების ელექტორალური ციკლი, ისე ოკუპანტის. მაგრამ ჩვენი პოზიცია ამის გამო არ იცვლება. უკრაინა მაშინ დაჯდება მოლაპარაკებების მაგიდასთან, როცა ჩვენი პირობები შესრულდება“.

მწირი ცნობებიდან გამომდინარე, მკვლევრებს, რომელთაც **„აქცენტი“** ესაუბრა, ცხადია, სანდოობაზე დაბეჯითებით საუბარი უჭირთ, მაგრამ თანხმდებიან, რომ ის ყურადღებას და დაკვირვებას ნამდვილად იმსახურებს, მით უფრო იმ წარუმატებლობის ფონზე, რასაც რუსეთი განიცდის უკრაინაში, ფრონტის ხაზზე. ხოლო საომარი მოქმედებების თეატრში შექმნილი მოცემულობა უკარნახებს მხარეებს ე.წ. სამშვიდობო დოკუმენტის ფორმულირებებსაც, თუ მსგავსი რამ რეალურად შედგა.

თუმცა, ამჟამინდელ მოცემულობაში საგარეო პოლიტიკის საკითხთა მკვლევარს **გიორგი ბილანიშვილს** გაჟღერებული პუნქტები მაინც გადაჭარბებულად მიაჩნია, ფიქრობს რა, რომ მსგავსი ნაბიჯისთვის ჯერ არ არის მზად ოფიციალური მოსკოვი. მას ეჭვებს წინადადებებს შორის დნესტრისპირეთის საკითხის ჩასმაც უმძაფრებს:

„დნესტრისპირეთი რომ ფიგურირებს ამ წინადადებებში, ესეც ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენება, რადგან ეს არის ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო შეთანხმება (თუ მსგავსი რამ შედგა). დნესტრისპირეთის საკითხი მგონია, რომ ცალკე თემაა“.

ამგვარად, უკრაინა-რუსეთის სამშვიდობო შეთანხმების პირობები, რომელიც რუსმა პოლიტოლოგმა კრემლში საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გააჟღერა, მოიცავს მოლდოვას დეოკუპაციასაც, მაგრამ აქ არ ფიგურირებს საქართველო.

„24 თებერვლიდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლებამ დისტანცირების პოლიტიკა არჩია უკრაინასთან მიმართებით იმ მოტივით, რომ ქვეყანას აარიდებენ ახალ ომს. არსად არ დგას საკითხი, რომ საქართველო და უკრაინა უნდა იყოს ერთ პაკეტში (არ ვგულისხმობ რეზოლუციებს, რომელთაც მხარი დავუჭირეთ) – ამ დღის წესრიგის ნაწილი საქართველო სამწუხაროდ, არ არის. თუ ვინმეს წარმოუდგენია (კონკრეტულად არავისზე მივუთითებ, რადგან მეეჭვება, ამგვარად ვინმე ფიქრობდეს), რომ უკრაინაში რუსეთის მარცხით თავისთავად მოხდება ჩვენი ქვეყნის დეოკუპაცია, მინიმუმ, ეს გულუბრყვილობაა. იმისთვის, რომ საქართველო ამგვარი დღის წესრიგის ნაწილი იყოს, აუცილებელია, ამაზე ვიმუშაოთ. თუ სათანადო დიპლომატურ „ფრონტი“ არ იარსებებს, ქართველების ნაცვლად საკითხს არავინ დააყენებს, რადგან დასავლეთს საკმარისზე მეტი პრობლემა აქვს რუსეთთან ამ მომენტისთვის. შესამამისად, ვიმეორებ, თუ გვინდა, ამ დღის წესრიგის ნაწილი ვიყოთ, უნდა ვიმუშაოთ და უკრაინის ომი არ უნდა იყოს მხოლოდ შიდა პოლიტიკის ძალიან მდარე დისკუსიის საგანი (ვგულისხმობ როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას). ნაცვლად იმისა, რომ ამ ტრაგედიას შევხედოთ როგორც შესაძლებლობასაც, ერთი მხარე ამბობს, რომ ხელისუფლება რუსეთის მარიონეტია, ხოლო მეორე პასუხობს, „დანარჩენებს ომი უნდათ, ჩვენ კი მას ავიცილებთ“ და ამ პარადიგმაში ვართ გაჭედილები, მეტ სიღრმეში დისკუსია არ მიდის. ვხედავთ, რომ უკრაინელები ფანტასტიკურ წარმატებებს აღწევენ და რაც მეტი დრო გავა, შეთანხმების პირობები (დღეს ამ პირობებზე ვერ ვისაუბრებთ) რუსეთისთვის მით უფრო მძიმე იქნება. მოსკოვმა რამდენჯერმე გაუშვა შანსი, უკრაინასთან რაღაც შეთანხმებისთვის მიეღწია მისთვის უფრო სასურველი პირობებით. ამდენად, უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ თუ ხელმისაწვდომი ცნობებით ვიმსჯელებთ, ამისთვის საქართველოს ხელისუფლება არაფერს აკეთებს. პირიქით, დეკლარირებულად ცდილობს ამ ყველაფრისგან ჩვენი ქვეყნის დისტანცირებას, რაც არ მგონია მართებული მიდგომა არც პრაგმატული და არც მორალური თვალსაზრისით“, – ამბობს „აქცენტთან“ თემის კომენტირებისას მკვლევარი **დავით ბრაგვაძე**.

ნებისმიერ შემთხვევაში, მისი ხედვით, თუ ხდება რაღაც ისეთი, რასაც მივყავართ იმგვარ სამშვიდობო ხელშეკრულებამდე, რომელიც მოიცავს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, მის სრულ სუვერენიტეტს, მაგრამ არა კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრებას რუსული სახელმწიფოსთვის, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა გერმანიის შემთხვევაში, ხოლო საქართველო ამ პროცესისგან დისტანცირებული აღმოჩნდა, ბრაგვაძე შიშობს, რომ ეს ქვეყანას რთული მოცემულობის წინაშე დააყენებს:

„არ მგონია, რუსეთის მუნება დრამატულად შეიცვალოს კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე და მგონია, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ კონკრეტული საფრთხის წინაშე დავდგებით – რევიზიონიზმი სხვა მიმართულებით გადაინაცვლებს: რადგან უკრაინა არ არის ის „ლუკმა“, რომელიც უკრაინამ ვერ გადაყლაპა, ეცდება, სხვაგან გაატაროს მსგავსი პოლიტიკა. თეორიულად, ეს შეიძლება იყოს შუა აზია, მაგრამ ამ შემთხვევაში ნათლად ითქვა, რომ ამ ქვეყნებს გარკვეული გარანტიები აქვთ, მათ შორის, ჩინეთისგან. ჩვენ უსაფრთხოების მსგავსი გარანტორი არ გვყავს, თან გვაქვს ორი ოკუპირებული რეგიონი, საკმაოდ მილიტარიზებულიც ფართობის და მოსახლეობის გათვალისწინებით. არის ცნობები, თითქოს მილიტარიზაციის ხარისხი შესუსტდა უკრაინის ომის გამო, მაგრამ თუ რუსებთს მოუწევთ უკრაინიდან გასვლა, ცხადია, მილიტარიზაციას თუ სადმე გააძლიერებს, მათ შორის ნამდვილად იქნება ჩვენი ოკუპირებული რეგიონები. შესაძლოა, იყოს დნესტრისპირეთიც, სომხეთიც – ამ რკალში ყველა ვარიანტში ვხვდებით, რაც ჩვენს უსაფრთხოების გარემოს აუარესებს. რუსეთი შესაძლოა, არ იყოს იმ მდგომარეობაში, რომ ორიოდე წელში დაიწყოს ახალი სამხედრო ავანტიურა თუნდაც ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ შესაძლოა, ეს მოდეს 5 წელიწადში, როდესაც სულს მოითქვამს. ჯერ-ჯერობით ჩემთვის არ არის ცხადი, რომ დასავლეთი ამ კოლექტიური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე მიდის“.

ბრაგვაძე ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ქვეყნისთვის ერთგვარი „ხავსი“ შესაძლოა, აღმოჩნდეს სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის, საქართველოზე გამავალი სატრანზიტო დერეფანი: მისი ვარაუდით, მიუხედავად რიგ დასავლელ პოლიტიკოსებში ცდუნების არსებობისა, რომ უკრაინის საკითხზე სამშვიდობო შეთანხმება გამოიწვევს სანქციების რეჟიმის შემსუბუქებას და რუსეთთან ვაჭრობის გაძლიერებას, დასავლეთი საკითხს გაცილებით ფრთხილად მოეკიდება, ვიდრე ომამდე და რუსეთზე დამოკიდებულების ძველ ნიშნულს არ დაუბრუნდება.

გიორგი ბილანიშვილი ფიქრობს, რომ თუ რაიმე სახის შეთანხმება შედგა, ეს მოდება რუსეთსა და უკრაინას შორის და არ გადასწვდება ფართო რეგიონს: **„ეს იქნება ერთი მხარისთვის მომგებიანი, იმედი გვაქვს, რომ უკრაინისთვის და ასეთ შემთხვევაში, გევრი რამ გადალაგდება რეგიონში, სავარაუდოდ, რუსეთშიც“.**

სოლოვეის წყაროების ინფორმაციით, სამშვიდობო შეთანხმების აღსრულების გარანტორობა უკვე ითავა მსოფლიოს 6-მა წამყვანმა სახელმწიფომ.

ცხადია, წინადადებები საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება, თუმცა პროცესზე დამკვირვებელთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ რაც აარრეალისტურად მოჩანს დღეს, მუნებრივი მოცემულობა გახდება პირობითად, ხვალ – უკრაინის შეიარაღებული ძალების წინსვლის ფონზე. და მართლაც, ომის პირველ დღეებში, როდესაც უკრაინის პრეზიდენტს ევაკუაციას სთავაზობდნენ, ბევრს შესაძლოა, რთულად წარმოედგინა, რომ ვოლოდიმირ ზელენსკი რუსეთის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღების მეცხრე თვეს დეოკუპირებული ხერსონიდან გააკეთებდა განცხადებას და კითხვაზე, „ახლა რა მიმართულებით წავლენ უკრაინის ძალები?“ ხუმრობით უპასუხებდა, „არა მოსკოვზე. ჩვენ სხვისი ტერიტორიები არ გვჭირდებაო“.

უკრაინის მმართველი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერმა **დავით არახამიამ** არა ამ პირობების, მაგრამ ზოგადად, მოლაპარაკების თემის კომენტირებისას აღნიშნა, რომ ამგვარი შანსი შესაძლოა, 2023 წლის მეორე ნახევარში გაჩნდეს:

„ჩვენმა პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ მკაფიოდ განსაზღვრა ის პირობები, რომელთა შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება რუსეთთან რაიმეზე საუბარი. ეს არის ტერიტორიული მთლიანობა, ომის აღდგენა, ყველა ზიანის ანაზღაურება, ომის დამნაშავეთა დასჯა და მტკიცე გარანტიები, რომ მსგავსი რამ აღარასდროს განმეორდება. მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც ჩვენი მოკავშირეების ელექტორალური ციკლი, ისე ოკუპანტის. მაგრამ ჩვენი პოზიცია ამის გამო არ იცვლება. უკრაინა მაშინ დაჯდება მოლაპარაკებების მაგიდასთან, როცა ჩვენი პირობები შესრულდება“.

ბჟანია აფხაზეთის მოსახლეობას თხოვს, უშუქობასა და სხვა პრობლემებს „გაგებით მოეკიდოს“

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერი ასლან ბჟანია მოსახლეობას მოუწოდებს, უშუქობასა და სხვა პრობლემებს „გაგებით მოეკიდოს“.

როგორც დე ფაქტო პრეზიდენტმა ამ დღეებში აღნიშნა, ამჟამად თანხმდება სარემონტო სამუშაოების ჩატარების ახალი განრიგი და მათი დასრულება „უახლოეს ხანებში“ იგეგმება.

ცნობისთვის: სარემონტო სამუშაოები სულ ახლახან დასრულდა, თუმცა უხარისხო მასალის გამოყენებისა და უხარისხოდ ჩატარების გამო მოხდა არაერთი ავარია და აფხაზეთის დიდი ნაწი-

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ



1992 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“. ᲐᲛ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲐᲡᲔᲕᲔ 1996 ᲬᲚᲘᲡ 22 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ: **ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲜᲐᲩᲥᲐᲠᲔᲕᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲣᲐᲖᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝ 1991- 1993 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐᲛ. ᲐᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1992 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ: **„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.** ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ ᲒᲚᲔᲮᲣᲠᲘ (ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲔᲣᲚᲘ) ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲝᲠᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ, ᲐᲒᲠᲝᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ, ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲝᲠᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡᲐ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲐᲪᲔᲒᲐ. ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ, ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲠᲘᲙᲔᲑᲘ, ᲯᲘᲗᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ, ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲡᲔᲚᲔᲥᲪᲘᲝ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ-ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲞᲐᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲔᲑᲘ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲠᲗᲨᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ. ᲡᲐ�გᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲜᲐᲗᲔᲡᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ ᲩᲐᲘᲡ, ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ, ᲮᲔᲮᲘᲚᲘᲡ, ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲠᲒᲐᲕᲔᲑᲘ. ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡ, ᲮᲘᲚᲘᲡ, ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡ, ᲩᲐᲘᲡ, ᲮᲝᲠᲪᲘᲡ, ᲙᲕᲔᲠᲪᲮᲘᲡ, ᲠᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲪᲔᲚᲝᲑᲐ-ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ. ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐᲨᲠᲝᲛᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲐᲓᲘ ᲓᲐᲭᲐᲝᲑᲔᲑᲐ, ᲛᲝᲛᲘᲨᲐᲚᲐ ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲔᲑᲘ. ᲐᲡᲔᲗ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲖᲔ - ᲙᲝᲛᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲙᲝᲛᲚᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲔᲫᲚᲔᲝᲓᲐᲗ 0.25 ᲰᲔᲥᲢᲠᲘᲓᲐᲜ 1.25 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲐᲛᲓᲔ, ᲛᲐᲦᲐᲚᲛᲗᲘᲐᲜ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ 5 ᲰᲔᲥᲢᲠᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲓᲐᲔᲥᲣᲪᲛᲐᲪᲓᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲝᲰᲮᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲔᲕᲠᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ ᲞᲠᲘᲕᲐᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲪᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ 1992 ᲬᲚᲘᲡ 21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ: **„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲪᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ, ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.** ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘ�ნᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲗᲐ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲮᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲔᲑᲘ. ᲛᲘᲬᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲐᲒᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲨᲘ ᲛᲝᲛᲰᲓᲐᲠ ნᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲕᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲒᲐ-ᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲙᲐᲡ, ᲥᲐᲚᲐᲥᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ, ᲒᲖᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲑᲠᲣᲜᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲪᲕᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ Ა. Შ.

2004 ᲬᲔᲚᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ, ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ, ᲛᲘᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲐᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ; ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ: **„ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲗᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ“.** ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 1992 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲣᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘ�გᲘᲡ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘ:

1. ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲡ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲝᲚᲘᲓᲐᲪᲘᲐ;

2. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ;

3. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ: „ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ“ �გᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲥᲕᲔᲛᲓᲔᲑᲐᲠᲝᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ;

4. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡᲐ;

5. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐ�გᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲗ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲖᲔ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲦᲐᲕᲐᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲔᲡ;

6. ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲝᲰᲓᲔᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲔᲥᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲕᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲐᲨᲘ;

7. ᲛᲝᲰᲓᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ �გᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, �გᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝ �გᲐᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲓᲐᲜ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ.

ᲐᲜᲖᲝᲠ ᲛᲔᲡᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ,
ᲡᲔᲠᲗᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ ᲣᲫᲠᲐᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ — ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ
Ტ. 599 92 55 53

**ᲚᲘ ᲣᲨᲣᲫᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ. ᲐᲛᲫᲐᲛᲐᲓ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠ�გᲘᲘᲡ ᲔᲬ. ᲛᲐᲠᲐᲝᲡᲔᲑᲠᲘ ᲒᲐᲗᲘᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲛᲝᲫᲛᲔᲓᲔᲑᲡ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲠ�გᲝᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲐᲒᲕᲐᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝ ᲓᲐ ᲓᲘᲐᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲨᲔᲣᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘᲗ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ



ოთხი იმპერიის ომი და... პუტინის სულსწრაფობა!

უკრაინის ომმა ჩვენს გონებაში არაერთი ისტორიული პარალელი გააჩინა, რომელიც გვაფიქრებს, გვადარდებს და ეპოქათა სხვადასხვაობის მიუხედავად, დასკვნების გაკეთების საშუალებასაც გვაძლევს. მათ შორისაა, ყირიმის ომი მე-19 საუკუნეში, სადაც საგულისყურო ანალოგი იკვეთება პუტინის დღევანდელ გეოპოლიტიკურ სწრაფვასა და რუსეთის იმპერატორის, ნიკოლოზ I-ის, პოლიტიკას შორის. ყირიმის ომს აღმოსავლეთის ომს, ან ოთხი იმპერიის ომსაც უწოდებენ ხოლმე, რომელიც სამი წლის განმავლობაში, 1853-დან 1856-მდე მძვინვარებდა.

ომის ერთ მხარეს რუსეთის იმპერიული სამხედრო მანქანა, მეორე მხარეს კი, ინგლისის, საფრანგეთისა და ოსმალეთის ალიანსი იდგა. ომის დაწყების მიზეზი, უკვე ჩვეულებრივ ამბად ქცეული რუსეთის ექსპანსიური გეგმები იყო. მეცხრამეტე საუკუნეში, ოსმალეთის იმპერიის დასუსტება და დაშლა დაიწყო, რამაც ევროპის მაშინდელ იმპერიებს შორის ერთგვარი შეჯიბრი გამოიწვია, თუ ვინ ჩაიგდებდა ხელში ოდესღაც დიდებამოსილი და ახლა უკვე დაკნინებული ოსმალეთის იმპერიის ნაწილებს. რუსეთს, ჯერ კიდევ, ეკატერინე მეორის დროიდან, ანუ ყირიმის ომამდე ერთი საუკუნით ადრე, სურდა კონსტანტინოპოლისა და იერუსალიმის ხელში ჩაგდება და საკუთარი თავის მართლმადიდებლობის ლიდერად გამოცხადება.

ამიტომ, სულ არ არის გასაკვირი, რომ იმპერატორი ნიკოლოზ I რაიმე ხელმოსაკიდ საბაბს ეძებდა ოსმალეთთან ომის დასაწყებად. მალე, ეს საბაბიც მოინახა: პალესტინაში განვითარდა კონფლიქტი მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის წმინდა ადგილების მიმართ მათი სხვადასხვაგვარი განწყობის გამო. 1853 წელს, ამ დავაში რუსეთის იმპერია ჩაერია და ოსმალეთს მოსთხოვა, რუსეთი მსოფლიო მართლმადიდებელთა მფარველად ეცნო. ოსმალეთმა უარი განაცხადა რუსეთის ამ საეჭვო თხოვნაზე.

შედეგად, იმავე წლის 14 ივნისს, რუსეთმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთთან და ომი დაიწყო. რუსეთის 80-ათასიანი არმია დუნაისპირა პროვინციებში, მოლდავეთსა და ვლახეთში შეიჭრა, რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. თავიდან, რუსეთის ჯარი სწრაფად მიიწევდა წინ. ფრონტი შავი ზღვის თითქმის მთელ აკვატორიაში გავრცელდა. ყველაზე ძლიერი სამხედრო კამპანია ორ ლოკაციაზე, დუნაის პროვინციებში და კავკასიის რეგიონში მიმდინარეობდა. 1853 წლის პირველ დეკემბერს, რუსეთის ფლოტმა, ადმირალ ნახიმოვის მეთაურობით, ოსმალეთის ფლოტი სინოპის მიმდებარე წყლებში გაანადგურა. რუსეთის წარმატებით შეშფოთებულმა ინგლისმა და საფრანგეთმა, ამჯერად, ოსმალეთის მხარე დაიჭირეს და რუსეთს ომი გამოუცხადეს.

მათ დარდანელის სრუტეში სამხედრო ესკადრილია შეიყვანეს. მოკავშირეებს სარდინიის სამეფოც შეუერთდა. კავკასიის ფრონტზე ომი რუსეთისთვის წარმატებით მიმდინარეობდა. ომის დაწყებიდან ზუსტად ხუთი თვის თავზე, რუსეთის არმიამ, კავალერიის გენერლის, ივანე ანდრონიკაშვილის მეთაურობით, სასტიკად დაამარცხა ოსმალები ახალციხესთან, ხოლო, რუსეთის ინფანტერიის გენერალმა ვასილ ბებუთოვმა, იგივე ბებუთაშვილმა, ბაშკადიკლარის დასახლებასთან, თურქეთში, ყარსის მახლობლად, ოსმალეთის მთავარი ძალები გაანადგურა. 1855 წელს, რუსებმა, გენერალ ნიკოლოზ მურავიოვის სარდლობით, რამდენიმე ქალაქი აიღეს და ყარსს ალყა შემოარტყეს. მოგვიანებით, ოსმალეთის ფელდმარშალმა და გუბერნატორმა, ომარ-ფაშამ დიდი დესანტი შეაპარა აფხაზეთში.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, რუსეთის არმიის გენერალ-ადიუტანტი მიხეილ შარვაშიძე-ჩაჩბა, იგივე ხამუთბეი, ომის დასაწყისში რუსეთის მხარეს იყო, მაგრამ 1855 წელს, ოსმალეთის მხარეს გადავიდა. თურქი ომარ-ფაშას მიზანი იყო, რუსეთის ჯარი აეძულებინა, ყარსზე ალყა მოეხსნა. ომარ-ფაშამ დაიკავა აფხაზეთი და სამეგრელო, მოიპოვა გამარჯვება გურულების მცირერიცხოვან რაზმზე და მდინარე ცხენისწყლამდე მივიდა. ეკატერინე ჭავჭავაძემ და გრიგოლ დადიანმა ოსმალების წინააღმდეგ სახალხო რაზმები შექმნეს. ამ რაზმების დახმარებით, მათ ოსმალებს უკან დაახევინეს, მაგრამ მთავარი მოვლენები ყირიმის ნახევარკუნძულზე განვითარდა. მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა 60-ათასიანი დესანტი გადასხეს რუსეთის ტერიტორიაზე, რუსეთის არმიამ ბახჩისარაისკენ დაიხია. სევასტოპოლი კი მტრის ალყაში მოხვდა. 11 თვის განმავლობაში იგერიებდა სევასტოპოლი მტრის იერიშებს.

1855 წლის მარტში, რუსეთის იმპერატორი, ნიკოლოზ პირველი გარდაიცვალა. რუსეთის ტახტზე მისი მემკვიდრე ალექსანდრე II ავიდა. სექტემბერში საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარებმა სევასტოპოლი აიღეს. რუსულმა ჯარებმა, ასევე, ჩააბარეს ქერჩი, ევპატორია და ყირიმის სხვა სტრატეგიული ადგილები. ავსტრიის იმპერიამ, თავიდან, ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა, მაგრამ ომის გაჭიანურებით უკმაყოფილო, აპირებდა, შეერთებოდა ევროპულ ალიანსს. რუსეთისთვის, ეს კატასტროფის ტოლფასი იყო. ფრონტზეც და ზოგადადაც, დღითიდღე მძიმდებოდა რუსეთის მდგომარეობა. გამარჯვების იმედი რუსეთში აღარავის ჰქონდა. თავადაზნაურობა შიშობდა, რომ ომის გაგრძელება ქვეყანაში აჯანყებებს გამოიწვევდა, რადგან, უბრალო რუსი ხალხი ხედავდა, რომ გლეხობა მასიურად იხოცებოდა, თავადაზნაურობა კი, პეტერბურგში მეჯლისებს მართავდა. ამიტომ, იმპერატორის მრჩევლებმა დაიყოლიეს იგი, შეეწყვიტა ომი და სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩაბმულიყო.

1856 წლის თებერვლის ბოლოს, პარიზში, სამშვიდობო მოლაპარაკებები გაიმართა, რომელიც, თითქმის, ერთ თვეს გაგრძელდა. 30 მარტს, პარიზში, ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. ამით ომი დამთავრებულად გამოცხადდა, მაგრამ რუსეთს ბევრ დამამცირებელ დათმობაზე მოუხდა წასვლა. პარიზის ხელშეკრულებით, რუსეთი ევროპას უთმობდა დუნაის პროვინციებს მთლიანად; ოსმალეთი რუსეთს უთმობდა ყარსს; ფრანგებმა და ინგლისელებმა ყირიმი რუსეთს გადასცეს, მაგრამ რუსეთისთვის ყველაზე დამამცირებელი მაინც ის იყო, რომ მას შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტისა და სამხედრო ბაზების ფლობის უფლება ჩამოერთვა.

შავი ზღვა ღია ზღვად გამოცხადდა ნებისმიერი დროშის ქვეშ მცურავი გემისთვის. ირონიულია, რომ ნიკოლოზ პირველს უნდოდა რუსეთის იმპერიის გაძლიერება, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მიიღო. დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვი ორივე მხრიდან, იმ დროისთვის, კოლოსალური იყო: რუსებმა 400 ათასზე მეტი ადამიანი დაკარგეს, მოწინააღმდეგემ კი, დაახლოებით, 250 ათასი. დაღუპულთა ნახევარი ინფექციური დაავადებებით, ქოლერითა და მუცლის ტიფით გარდაიცვალა. ყირიმის ომმა გააშიშვლა რუსეთის, როგორც სახელმწიფოს, პრობლემები: რუსეთის ჯარის შეიარაღება იყო ძველი, ქვეყნის ეკონომიკა კი, ევროპის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. და მაინც, მარცხის მთავარ მიზეზად ქვეყანაში ტოტალური კორუფცია ჩაითვალა. ისტორიკოსების აზრით, ყირიმის ომში ორივე მხარემ წააგო: ერთი მხრივ, რუსეთმა დაკარგა გავლენა ევროპაში და მეორე მხრივ, ევროპის ორი დიდი იმპერია, პრაქტიკულად, ვერ მოერია რუსეთს.

ამ ომმა აჩვენა, რომ სამყაროს ძალისმიერი მეთოდებით გადანაწილება აუცილებლად იწვევს დიდ დაპირისპირებას, რაც არავისთვის არ მთავრდება კარგად. მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. ყირიმის ომმა ბევრ მეცნიერულ თუ ჰუმანიტარულ გამოგონებას მისცა ბიძგი, მაგალითად, ამ ომის შემდეგ დამკვიდრდა საყოველთაო მეტეოროლოგიური პროგნოზი, ცნობილი მოვლენების ფოტო-დოკუმენტირება, გავრცელდა თამბაქოს მოხმარება სიგარეტის ფორმით, რუსმა ექიმმა პიროგოვმა, პირველად მსოფლიო სამედიცინო პრაქტიკაში, გამოიყენა თაბაშირი და ქლოროფორმი, ევროპაში გაჩნდა საკვები კონსერვების სახით, ინგლისელმა ქალმა ფლორენს ნაითინგეილმა, საკუთარი მაგალითით, ბიძგი მისცა ექთნების პროფესიის ჩამოყალიბებას.

ყირიმის ომმა თავისი ნაკვალევი დატოვა კულინარიაშიც და მოდაშიც, მაგალითად, საფრანგეთში პოპულარული გახდა მალაკოვის ტორტი და ინგლისელებმა გამოიგონეს თავსაფარი ბალაკლავა, რომელსაც დღესაც იყენებს სპეც-დანიშნულების ჯარი...

ნუგზარ. ბ. რუხაძე,
POSTV

კუნძულ ბალიზე „დიდი საქმეები“ წყდება

ინდონეზიის კუნძულ ბალიზე „დიდი ოცეულის“ სამიტი გაიხსნა. სამიტზე განსახილველი მთავარი საკითხია გლობალური ეკონომიკა უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე.

„ჩვენ სხვა ვარიანტი არ გვაქვს, მსოფლიოს გადასარჩენად საჭიროა თანამშრომლობა. ყველას გვაკისრია პასუხისმგებლობა არა მხოლოდ ჩვენი ხალხის, არამედ მსოფლიოს მოსახლეობის წინაშე. პასუხისმგებლობის ქონა ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავასრულოთ ეს ომი. ეს ომი თუ არ დასრულდება, მსოფლიოსთვის წინსვლა რთული იქნება. „დიდი ოცეული“ უნდა იყოს ინკლუზიური ეკონომიკური აღდგენის კატალიზატორი. არ უნდა დავყოთ მსოფლიო ნაწილებად. არ უნდა დავუშვათ, რომ მსოფლიო მორიგ „ცივ ომში“ გადაეშვას“, — განაცხადა მასპინძელი ქვეყნის, ინდონეზიის პრეზიდენტმა, ჯოკო ვიდოდომ სამიტის გახსნით სიტყვაში. „დიდი ოცეულის“ სამიტის მონაწილეებს დისტანციურად მიმართა უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა „დიდი ოცეულის“ სამიტზე სიტყვით გამოსვლისას მშვიდობის დამყარების 10-პუნქტიანი ფორმულა წარადგინა. მისი თქმით, უკრაინის შეთავაზებებია: რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება; სასურსათო უსაფრთხოება; ენერგეტიკული უსაფრთხოება; ყველა დატყვევებულის და დეპორტირებულის გათავისუფლება; გაეროს წესდების შესრულება, ტერიტორიული მთლიანობის და მსოფლიო წესრიგის აღდგენა; რუსეთის ძალების გაყვანა და საბრძოლო მოქმედებების დასრულება; სამართლიანობის აღდგენა; ეკოციდის წინააღმდეგ ბრძოლა; ესკალაციის დაუშვებლობა; ომის დასრულების დაფიქსირება.

სამიტს არ ესწრება რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, ლიდერების შეხვედრაზე რუსეთს საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მანამდე ინდონეზიამ უარი თქვა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინისთვის სამიტზე დასწრების მიწვევის გაუქმებაზე. სამიტის ოფიციალურ გახსნამდე ერთი დღით ადრე ბალიზე აშშ-ისა და ჩინეთის ლიდერების ორმხრივი შეხვედრა გაიმართა. მოლაპარაკებები სამ საათს გაგრძელდა. ეს ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის განმავლობაში სი ძინპინთან პირველი პირისპირ შეხვედრა იყო.

ბაიდენს არჩევნების „მოგება“ დემოკრატიის სიძლიერე ჰგონია

კონგრესის შუალედურმა არჩევნებმა ამერიკული დემოკრატიის სიძლიერე და სიმტკიცე აჩვენა, — ამის შესახებ აშშ-ის, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ბალიზე „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.



მისივე თქმით, ამ არჩევნებზე იყო პოლიტიკური ძალადობის და ამომრჩეველთა დაშინების მტკიცე უარყოფა.

ხერსონი დაიბრუნეს, მაგრამ...

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი აცხადებს, რომ რუსმა ოკუპანტებმა ხერსონში ყველა კრიტიკული ინფრასტრუქტურა გაანადგურეს, ქალაქში და ოლქში ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი დანაღმულია.

„ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აღვადგინოთ ნორმალური პირობები ჩვენი ხალხისთვის. ყველასთვის აშკარაა, რას ნიშნავს უკრაინა, რას ნიშნავს ჩვენი დროშის არსებობა. როდესაც არის უკრაინული დროშა, არის ცივილიზებულობა, თავისუფლება, სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება. არის ვიღაც, ვინც ხალხზე ზრუნავს. არის ყველაფერი, რასაც ანადგურებენ, როდესაც დამპყრობელი მოდის. აი, რას ნიშნავს რუსული დროშა — სრულ განადგურებას. არ არის არც ელექტროენერგია, არც კავშირი, არც ინტერნეტი, არც ტელევიზია. ოკუპანტებმა ყველაფერი განგებ გაანადგურეს. ეს არის მათი სპეცოპერაცია. ზამთრის წინ რუსმა ოკუპანტებმა გაუნადგურეს ხალხს აბსოლუტურად მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურა. აბსოლუტურად ყველა მნიშვნელოვანი კრიტიკული ობიექტი ქალაქში და ოლქში დანაღმულია“, — განაცხადა ზელენსკიმ.

ოკუპანტებმა რუსეთში 11 000 ბავშვი გადაასახლეს

„ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ უნდა შეჩერდეს უკრაინელი ბავშვების დეპორტაცია რუსეთში. ოფიციალური მონაცემებით, ეს არის თითქმის 11 000 ბავშვი, რეალურად კი უფრო მეტია დეპორტირებული“, — განმარტა ზელენსკიმ.

უკრაინელი ბავშვების დეპორტაციის შესახებ მონაცემები უკრაინის საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე გამოაცხადეს, სადაც თანათავმჯდომარე გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში იყო. **„იმისთვის, რომ ყველა დეპორტირებული ბავშვი დავუბრუნოთ ოჯახს და ქვეყანას, ამისთვის ნამდვილად გვჭირდება მთელი მსოფლიოს ძალა“,** — განაცხადა ზელენსკიმ.

საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს რეზოლუციას

საქართველომ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთი პასუხისმგებელია უკრაინაში ომთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის, მათ შორის ომის რეპარაციების გადახდაზე.

აღნიშნულ რეზოლუციას მხარი 94-მა სახელმწიფომ დაუჭირა, 14 სახელმწიფო წინააღმდეგ წავიდა, ხოლო 73-მა თავი შეიკავა. რეზოლუციას არასავალდებულო ხასიათი აქვს, თუმცა მისი მიღება უკრაინაში შეჭრის შემდეგ მსოფლიო არენაზე რუსეთის იზოლაციის კიდევ ერთი მანიშნებელია.

რეზოლუცია კიდევ ერთხელ ადასტურებს გაეროს გენერალური ასამბლეის მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და რუსეთს უკრაინიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდებს. რეზოლუცია დასძენს, რომ რუსეთი პასუხისმგებელია საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის და მას უნდა დაეკისროს სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ზიანის ანაზღაურება.

დედაენის ავტორის სახელობისა



იაკობ გოგებაშვილის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია

თბილისის ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაარსებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

მინისტრმა კონკურსანტებს გამარჯვება მიულოცა და ქვეყანაში საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრსა და მაესტრო ვახტანგ კახიძეს, რომელიც მეორე წელია გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიას მასპინძლობს. 10 ნომინაციაში გამოვლინდა 11 გამარჯვებული. კერძოდ, იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემია გადაეცა:

1. **გივი ჩიღვინაძეს,** ნომინაციაში „საუკეთესო პოეტური წიგნი“ ღ „რითმოცანების წიგნი“, გამომცემლობა მერიდიანი;

2. **აკაკი დაუშვილს,** ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული წიგნი ყველაზე პატარებისთვის, 3-6 წელი“ – „ხვლიკი კოსტას ამბები“;

3. **სალომე კაპანაძეს,** ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული წიგნი პატარებისთვის, 7-12 წელი“ – „ზღაპრები აფხაზეთზე“;

4. **ნატო დავითაშვილს,** ნომინაციაში „საუკეთესო პროზაული წიგნი ყმაწვილებისთვის 13+“ – „გრძელი ამბავი ნისლთა მოსვლისა“;

5. **ირმა მალაციძესა** და **მათე გახელაძეს** – „ზუზუნები და ღუტუნები“ და **ია გიგოლაშვილს** – „დინოზავრიდან კომპიუტერამდე“ (ავტორი **ვასო გულეური**), ნომინაციაში „საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი ყველაზე პატარებისთვის, 3-6 წელი“, გამომცემლობა სეზანი;

6. **ქეთევან ჯიშიაშვილს,** ნომინაციაში „საუკეთესო ილუსტრირებული წიგნი პატარებისთვის, 7 – 12 წელი“ - „ღვთისმშობლის ცხოვრება“;

7. **ფიქრია ყუშიტაშვილს,** ნომინაციაში „საუკეთესო საბავშვო დრამატურგია“ – „ცელქი ამბები ანუ სურათები საოჯახო ალბომიდან“;

8. **ინგა თეთრაძეს,** ნომინაციაში „საუკეთესო დებიუტი“ – „რატომელა ანუ ცნობისმოყვარე ბიჭი“, გამომცემლობა „ელფი“;

9. მთარგმნელ **არჩილ რაჭველს,** ნომინაციაში „საუკეთესო ნათარგმნი საბავშვო/საყმაწვილო წიგნი“ – „ბანდიტი ბებია“, გამომცემლობა „პალიტრა L“, ავტორი დევიდ უოლიამსი;

10. **მანანა კატროზიას,** ნომინაციაში „საბავშვო-საყმაწვილო ინოვაციური პროექტი“ – „წიგნების სერია ბავშვობის თანამგზავრები“ , გამომცემლობა „სეზანი“.

თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა 5000 ლარს (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) შეადგენს.

საღამოს რეჟისორი გიორგი მიქელაძის სახელობის თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ნიკოლოზ საბაშვილი გახლდათ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლმა „მართვემ“, ვაჟთა გუნდმა „მძლევარმა“ და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლეულის“ მოსწავლეებმა. დაჯილდოების ცერემონიის დაწყებამდე ცენტრის ფოიესა და მცირე დარბაზში თეატრალური წარმოდგენა გაიმართა. მაყურებელი „ნიჭიერთა ათწლეულის“ მოსწავლეთა კონცერტსაც დაესწრო. ასევე, გამოიფინა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმსა და იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული მწერლის პირადი ნივთები.

საღამოს უძღვებოდნენ მსახიობები რუსკა ქარქაშაძე და გიგო შიუკაშვილი. სცენის გაფორმებაში თბილისის მერიამ მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ლიტერატურული სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლიტერატურული კონკურსი „იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის“ მოსაპოვებლად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს“ ორგანიზებით მეორე წელია, იმართება. კონკურსის მიზანია საბავშვო ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა, ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა, ლიტერატურული პროცესების განვითარება, ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების აღმოჩენა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი მიმდინარე წლის აპრილში გამოცხადდა და მის ფარგლებში „შემოქმედებით საქართველოს“ 50-მა განმცხადებელმა მიმართა.

სასკოლო სახელმძღვანელოების საეჭვო გადაცდომები

(მეხუთე გვერდიდან)

ცნობილია, როგორი რუდუნებით ქმნიდა იაკობ გოგებაშვილი „დედა-ენასა“ და „ბუნების კარს“, რა ენერგია და ნიჭიერება ჩადო სახელმძღვანელოს შექმნაში. თითქმის საუკუნე-ნახევარი გვაბედნიერებდა ქართველ მოსწავლეებს ეს. დღეს რა ხდება? გაცხადებულია, რომ ნებისმიერი კლასის სახელმძღვანელო იქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის და სტანდარტების შესაბამისად .წიგნების შესადგენად მუშაობს არა ერთი ავტორთა ჯგუფი. შემდეგ იწყება წიწიალი გრიფირების მოსაპოვებლად, ანუ ნებართვის მისაღებად, რომ წარმოებაში ჩაიშვას. ცხადია, თითოეული წიგნი დიდი ფულია, შემოსავალია. ამიტომ ვინც უფრო „მობილურია“ მას უმართლებს, „ის იმარჯვებს“. სხვადასხვა ხერხით, სხვადასხვა საშუალებით. სამწუხაროდ, ეს ასეა. ამის უარყოფა სიცილის მომგვრელია.

მტკივნეული და ყველასთვის თვალსაჩინო თემა მინდა გამოვყო. მხედველობაში მაქვს პროგრამული მასალის შერჩევა, რომელიც ქართული ქრესტომათიის სასკოლო წიგნებშია შეტანილი. ზოგი იმდენად მდარე ხარისხის ლიტერატურული ნაწარმოებია, იმდენად უშინაარსო და უადგილოდაა მიწოდებული, მოსწავლეები კი არა, პედაგოგები განცვიფრებულები არიან. დავინტერესდი გამერკვია მეხუთედან, მეათე კლასების ქართული ლიტერატურის პროგრამაში შეტანილი ნაწარმოებთა და ავტორთა ცნობადობა. გავესაუბრე სამეგრელოს 27 სკოლის ლიტერატურის პედაგოგებს (სხვადასხვა კლასების): ზოგი გაუგებრობისგან ხელებს შლის, ზოგი ორჭოფულად თავს აქნევს. ისეთებს დაუთმეს ყველაზე მგრძნობიარე და საპასუხისმგებლო ადგილი წიგნებში, საზოგადოება არ იცნობს, არც გაუგიათ, არაფერი წაუკითხავთ. ვინაა, რატომ და რისთვის დაიმსახურა პროგრამაში შეტანა?

ეს მდგომარეობა ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი მდარე ნაწარმოებთა ავტორები, წიგნების შემდგენელთა ახლობლები არიან? ან გარკვეული კორუფციის ახალ მიმართულებასთან ხომ არ გვაქვს საქმე? (რადგან ყველაფერი იყიდება!)

ვფიქრობ, განათლების სამინისტროს შესამისი სამსახური ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს და ღრმად ჩაიხედოს.



ნუთუ ამ ეროვნულ, უაღრესად სათუთ საკითხშიც იქცევიან უპირცხვილოდ, უნამუსოდ და მიკერძოებულად? ამაზრზენია ამის გაფიქრებაც კი. აქ გამომცემლობები არაფერ შუაშია.

ზემოთ თქმული მოსაზრება იმიტომაც გახლავთ ხელშესახები, რომ სასკოლო ლიტერატურის არც ერთი კლასის პროგრამაში შეტანილი არ გახლავთ ბევრი მართლაც კარგი ნაწარმოები, მათ შორის თუნდაც სახელმწიფო და რუსთაველის პრემიის ლაურატის, უბადლო პოეტის, აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციის თავკაცის, ასობით მშვენიერი ლექსის, უფლისადმი მიძღვნილი საგალობლების ავტორის, გენო კალანდიას ერთი ლექსიც კი.

„წავალ დავდგები ფაზისის ხიდზე, რომ ჩემი სისხლი წვეთი-წვეთ მოგცე,

მომეცი ნება მიყვარდე ისე, როგორც უყვარდი მამულო ცოტნეს“.

გენო კალანდია ზუსტად გრძნობდა დროის სუნთქვას და მას უსადაგებდა თავის პოეტურ ქმნილებებს. მუდმივი ძიებითა და ახალ სივრცეების პოეტური ხატოვნების აღქმით გამორჩეული გახლდათ!

ბუნების მომადლებული ნიჭით ბევრი ქმნის საინტერესო, თვითმყოფად და ორიგინალურ სულიერი ხელოვნების ნიმუშებს. შესაბამისად, მათი შეგნებულად უარყოფა და მდარე ნიმუშებით ჩანაცვლება, მიუღებელია.

ბორის დავითაია,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი

◎ მუნდიალი – 2023

როდის გავჭეხავთ ნავსს?

მეტოქეე რომ თხუთმეტ სამქულიანს ჩაგიგდებს და ზედიზედ მეთერთმეტედ დაგამარცხებს, კაპიტულაცია უნდა გამოაცხადო, მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ მაინც გვქონდა გამარჯვების შანსი, რადგან ოთხიდან სამი პერიოდი მოვიგეთ.

საქართველო - იტალია 84:85

მართალია, სტუმრები შესუსტებული შემადგენლობით გვეწვივნენ, მაგრამ ევროლიგისა და ევროპაში ერთ-ერთი მოწინავე ლიგის – სერია – ა-ს კლუბების წევრთა ძალისხმევით მაინც შეძლეს საგაისო მუნდიალის საგზურის ვადამდე მოპოვება, ჩვენ კი საამისოდ თებერვალში სტუმრად ნიდერლანდებთან და შინ უშუალო კონკურენტთან – ისლანდიასთან წარმატება გვმართებს.

რაც შეეხება თბილისი არენაზე გამართულ შეხვედრას, მისი ბედი სპისუს, რიჩის, პეტრუჩელისა და ბალდოსოს შორეულმა ზუსტმა გასროლებმა გადაწყვიტა, ფარქვეშ ბრძოლაში კი ბილიამ და სევერინმა იყოჩაღეს.

სხვათა შორის, სხვადასხვა ეპიზოდებში მასპინძელთა ლიდერებმაც ივაჟკაცეს, მაგრამ ამჯერად შენგელიას, შერმადინის, სანაძის, ცინცაძის, მაკფადენისა და ანდრონიკაშვილის ძალისხმევა აპენინელებთან ნავსის გასატეხად საკმარისი არ აღმოჩნდა.

უკრაინა – ისლანდია 79:72, ესპანეთი – ნიდერლანდები 84:72.

სატურნირო მდგომარეობა: ესპანეთი – 7, იტალია – 6, საქართველო, ისლანდია – 4-4, უკრაინა – 3, ნიდერლანდები – 0 მოგება.

რაც შეეხება სხვა ჯგუფებში განვითარებულ მოვლენებს, ცაიტნოტში აღმოჩნდნენ თურქები, რომლებიც სერბეთში დამარცხდნენ – 76:77 და დიდი ალბათობით, აზიური ფორუმის მიღმა დარჩებიან.

◎ დიეგოს აჩრდილი

არველაძეს ისევ გააქვს

ᲗᲘᲜ მოთვლის, რამდენ სტადიონზე გაუტანია გოლი დამოუკიდებელი საქართველოს საფეხბურთო ბომბარდირს ᲨᲝᲗᲐ ᲐᲠᲕᲔᲚᲐᲫᲔᲡ, მაგრამ ნეაპოლის დიეგო მარადონას სახელობის სარბიელზე შესრულებულ დუბლს მაინც სხვა ფასი აქვს.

ეს ფეხბურთის არგენტინელი ღმერთის ხსოვნისადმი მიძღვნილ მშვიდობის მატჩში მოხდა და ორივე ეპიზოდში ტყუპს ასისტენტობა ხრისტო სტოიჩკოვმა გაუწია, ვარსკვლავთკრებულს კი კანიჯა, კანავარო, ბუფონი, რონალდინიო და თაობათა მთელი რიგი სხვა კერპები ამშვენებდნენ.

ვიდრე სერია – ა-ში საამუნდიალო არდადეგებია გამოცხადებული, ნეაპოლელთა ახალ იმედს – **ხვიჩა კვარაცხელიას** ხვალ არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ შარჯაში მომავალი ყატარული ფორუმის მონაწილესთან – მაროკოსთან ამხანაგურ შეხვედრაში უნდა ეთამაშა, მაგრამ წელის ტრავმის გამო იგი კვლავ დაისვენებს ისევე, როგორც იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრებში, სადაც მისმა ჩრდილომაკედონიელმა დუბლორმა ელმასიმ გაიბრწყინა.

თვით კვარა თბილისი არენაზე „ჯვაროსან“ და აპენინელ კალათბურთელთა დრამატულ ბრძოლას დაესწრო, ვილი სანიოლმა კი აფრიკელებთან მატჩისთვის ორ დებიუტანტს გოჩოლეიშვილსა და საზონოვს უხმო და ნაკრების კიდევ ორი ძველი წევრი ბერიძე და შენგელია გამოიძახა. სამწუხაროდ, კვლავ საეჭვოა დაშავებული ჩაკვეტაძის თამაში.

◎ ყინულზე

ბრინჯაოს სტარტი

ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜᲝᲑᲘᲗ ზამთრის სპორტული სეზონი ძალებს იკრებს და ეს ფიგურულ სრიალზეც აისახება.

ამ დღეებში ინგლისი შეფილდის გრან-პრის მასპინძლობდა და საინტერესოა, რომ საქართველოს ქალთა ნაკრების 20 წლის ლიდერმა **ანასტასია გუბანოვამ** პრესტიჟული ტურნირის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მან პოდიუმზე ასასვლელად სერიოზული განაცხადი მოკლე პროგრამაში დაკავებული მესამე ადგილით გააკეთა, სადაც 66,82 ქულას მოუყარა თავი, ხოლო თავისუფალ პროგრამაში დამსახურებული შეფასება – 126,29 ქულა, მათ შორის 50.82 ტექნიკური ელემენტებისთვის და 41.79 პროგრამული კომპონენტებისთვის და მე-5 პოზიცია, საკმარისი აღმოჩნდა საბოლოო წარმატებისთვის.

იგი მხოლოდ იაპონელ მაი მიჰარას და ამერიკელ იზაბელ ლევიტოს ჩამორჩა, 18-20 ნოემბერს კი ტოკიოში გრან-პრის მორიგ ეტაპზე ისრიალებს.

რაც შეეხება დანარჩენ „ჯვაროსნებს“, ნისლიან ალბიონზე მათ ასეთი შედეგები აჩვენეს:

წყვილთა თანრიგი: ანასტასია მეტელკინა და დანიილ პარკმანი – IV ადგილი.

ვაჟები: მორის ყვითელაშვილი – VIII ადგილი.

სპორტული ცეკვები: მარია კაზაკოვა და გიორგი რევია – VI ადგილი.

ბაკურიანი მომავალში შეიძლება საერთაშორისო ტურნირების რეგულარული მასპინძელი გახდეს

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის დასკვნითი საინსპექციო ჯგუფი იმყოფება, რომელმაც ბაკურიანში 2023 წელს დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა და შესრულებული სამუშაოები უნდა შეაფასოს.

ჯგუფის ხელმძღვანელი მიშელ ვიონი გუშინ ვიცე-პრემიერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ლევან დავითაშვილს შეხვდა. შეხვედრაზე აღინიშნა შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხი, ასევე კურორტ ბაკურიანის, როგორც ევროპული რანგის სამთო - სათხილამურო კურორტის მომავალი.

„საქართველოს მთავრობის მიერ ბაკურიანში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად, ბაკურიანი მომავალში შეიძლება საერთაშორისო ტურნირების რეგულარული მასპინძელი გახდეს. იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ინსპექტირება წარმატებით დასრულდება. განხორციელებული სამუშაოების შედეგად,

ჩვენ მივიღეთ ბაკურიანში ხელოვნური გათოვლიანების აბსოლუტურად ახალი სისტემები, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა ახალი საბაგირო გზებისა და ახალი ტრასების სახით, აგრეთვე ხელოვნური გათოვლიანების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ხელოვნური რეზერვუარები – ეს სამუშაოები, ფაქტობრივად დასრულებულია და ამჟამად რეზერვუარების წყლით ავსების პროცესი მიდის. საბოლოოდ, ბაკურიანი იქნება ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი კურორტი არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით,“ – განაცხადა ვიცე-პრემიერმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

შეხვედრას ასევე დაესწრნენ მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი, „მთის ტრასების სააგენტოს“ დირექტორი ირაკლი ბურჭულაძე და საქართველოს სათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კოსტავა.

2023 წელს კურორტი ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელია, თავისუფალი სტილით სრიალში თხილამურითა და სნოუბორდით. დიდველისა და მიტარბის არეალში უმოკლეს ვადებში აშენდა წყლის ორი ხელოვნური რეზერვუარი (ტბა) ჯამური მოცულობით 307 000 მ3, რომელიც აუცილებელია გათოვლიანების სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის. ასევე აქტიურად მიმდინარეობს 29 კმ-ნი ხელოვნური გათოვლიანების სისტემის მონტაჟი. მსოფლიო ჩემპიონატის პროექტის ფარგლებში აშენდა 6 ახალი საშეჯიბრო ტრასა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ განხორციელებული პროექტები რჩება კურორტს და ათეული წლები მოემსახურება ბაკურიანში ვიზიტორების გაზრდილ ოდენობას, რაც ხელს შეუწყობს კურორტის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო მასშტაბით.

სკანდინავიელი ტურ-ოპერატორები საქართველოს ეცნობიან

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ეროვნული ადმინისტრაცია სკანდინავიის ქვეყნებიდან წამყვან ტურისტულ კომპანიებს მასპინძლობს. ინფო-ტური ავიაკომპანია „AirBaltic“-ის თანაორგანიზებით იმართება.

ტურის ფარგლებში ნორვეგიის, შვედეთისა და დანიის ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს შეხვდნენ. B2B ფორმატში გამართულ შეხვედრაზე კომპანიებს შორის სამომავლო თანამშრომლობისა და ერთობლივი ტურისტული პაკეტების მომზადების საკითხები განიხილეს. შეხვედრის ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიურომ საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ პრეზენტაცია გამართა.

„სკანდინავიის ქვეყნებიდან გვესტუმრნენ წამყვანი ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლები, გაიმართა საინტერესო შეხვედრა, რაც ვფიქრობ გამოადგება როგორც ტურისტულ კომპანიებს, ასევე სასტუმრო ინდუსტრიას. ეს ტური ხელს შეუწყობს საქართველოს ცნობადობის ამაღლებას სკანდინავიის ქვეყნებში,“ – აცხადებს სასტუმრო მერკურისა და IBIS Styles-ის წარმომადგენელი მაკა ცხომელიძე.

„ძალიან ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. სკანდინავიური კომპანიები დაინტერესებულნი არიან საქართველოთი და სურთ თანამშრომლობა ქართულ კომპანიებთან. ისინი გაეცნენ მათ შეთავაზებებს და ტურისტულ პროდუქტს. ტურისტულ კომპანიებს შორის უფრო მეტი თანამშომლობა და ავიაკავშირები ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების გაზრდას“, – ამბობს იან ნიჰოლმი, ავიაკომპანიის „Air Baltic“ გაყიდვების მენეჯერი სკანდინავიის ქვეყნებში.

სკანდინავიური ტურისტული კომპანიების 16 წარმომადგენელი თბილისს, თელავს, წინანდალს, ალავერდსა და ახმეტას ეწვია. ტურ-ოპერატორები ტურისტულ მარშრუტებს, ღირსშესანიშნაობებს, მაღალი კლასის განთავსების ობიექტებს გაეცნენ, სპეციალურად სტუმრებისთვის გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია და კერძების მასტერკლასი.

ინფო-ტურის მიზანია სკანდინავიის ქვეყნებიდან საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდა და მაღალმხარჯველიან ვიზიტორთა მოზიდვა.

ბანდიტების ჯგუფს საქართველოში ისრაელის მოქალაქის მკვლელობა ჩაეშალათ!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა გამოავლინა და აღკვეთა დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საქართველოში დაგეგმილი ისრაელის მოქალაქის მკვლელობის მცდელობა.

„სუს“-ის პრესსამსახურის ინფორმაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებული არიან პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები.

იდენტიფიცირებული არიან უცხოეთში მყოფი ორგანიზატორები, მათ შორის დადგენილია მკვლელობის სავარაუდო შემკვეთი ირანის მოქალაქე და სხვა მონაწილე პირები, რომელთა მიმართ მიმდინარეობს კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

გამოძიებით დადგენილია, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ საქართველოში გამოიგზავნა ამ ჯგუფში ჩართული პაკისტანის მოქალაქე, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოში ისრაელის მოქალაქის მკვლელობა.

საქართველოში ჩამოსვლამდე პაკისტანის მოქალაქეს ჩაუტარდა საჭირო ინსტრუქტაჟი და მიეწოდა ინფორმაცია მკვლელობის ობიექტზე. მოგვიანებით, ხსენებული პირი მესამე ქვეყნის გავლით ჩამოვიდა საქართველოში, სადაც მას დახვდა დაქირავებული ბინა და გადაეცა კონსპირაციული კავშირის საშუალებები.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პაკისტანის მოქალაქე მკაცრად იცავდა კონსპირაციის წესებს და ახორციელებდა მკვლელობის ობიექტისა და მისი გადაადგილების მარშრუტების ფარულ შესწავლას, მუდმივ კონსპირაციულ კავშირზე იმყოფებოდა უცხოეთში მყოფ შემკვეთთან და იღებდა მისგან მითითებებს და თანხებს.

დამატებით დადგინდა, რომ მკვლელობის შემსრულებლისთვის იარაღის ფარულად მიწოდების მიზნით, დანაშაულებრივმა ჯგუფმა საქმეში ჩართო საქართველოში მცხოვრები ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისგან შემდგარი ჯგუფი.

კვალის დასაფარად პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს შორის პირდაპირი შეხვედრები არ ხორციელდებოდა და ცეცხლსასროლი იარაღებისა და საბრძოლო მასალის გადაცემა ხდებოდა ქალაქში მოწყობილი სამალავების გამოყენებით, რა დროსაც ორივე ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია უცხოეთიდან ხორციელდებოდა.

პაკისტანისა და ირან-საქართველოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების მიმართ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების - ჩხრეკების შედეგად ამოღებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, ასევე, კონსპირაციული ტელეფონები, რომლებშიც აღმოჩენილია როგორც მკვლელობის მომზადებისა და სამალავების ადგილმდებარეობის ამსახველი ინფორმაცია, ასევე სხვა მამხილებელი მტკიცებულებები.

საქმეზე მიმდინარე ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების პროცესში ხორციელდება დანაშაულში მონაწილე და ხელშემწყობი სხვა პირების გამოვლენა და იდენტიფიცირება.

სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ყველა მსურველისთვის უფასო 22 ნოემბრამდე იქნება

ამის შესახებ ინფორმაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

ქვეყნის მასშტაბით, სეზონური გრიპის საწინააღმდეგო აცრა, **6 თვის ასაკიდან, უფასოა. ნებისმიერი მსურველი, მომსახურებას, ვაქცინაციის პროცესში ჩართულ, 400-მდე სამედიცინო დაწესებულებაში მიიღებს.**

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საქართველომ, 200 000 დოზა სანოფი პასტერის წარმოების, ოთხ-კომპონენტიანი ვაქცინა შეიძინა, რომელიც ჯანმო-ს მიერ რეკომენდებულ ვაქცინებს შორის ერთ-ერთია. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრმა, ვაქცინაცია სექტემბრის ბოლოს დაიწყო. პირველ ეტაპზე, მომსახურება, დაავადების გართულების მომატებული რისკის მქონე პირებმა მიიღეს. ვაქცინაცია ნებისმიერი მსურველისთვის უფასო კი, 22 ნოემბრამდე იქნება.

ქართველთა მნათობი, წმინდა ნიკოლოზი, აკოლოთიათა აღმწერელი

16 ნოემბერს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ქართველთა მნათობს – ღირს ნიკოლოზს.

ღირსი ნიკოლოზი ცხოვრობდა წმიდა დიმიტრი თავდადებულის ძის, ვახტანგის მეფობის დროს. ქართულ კურთხევანში გვხვდება აკოლოთია.

ამის შესახებ პლატონ იოსელიანი წერს, რომ ღირსი ნიკოლოზის სხვა აკოლოთიანი უნახავს ათონის ივერთა მონასტრის ხელნაწერებში. ვარაუდობენ, როგორც ლიტურისტს, მას უნდა ეკუთვნოდეს ის წესები, კერძოდ, „განგეგმა წყლის კურთხევისა“, რომელიც 1306-1316 წლებშია ნათარგმნი ბერძნულიდან ქართულად.

გიული ლიპარტია

პროკურატურამ დაბა გომისმთაზე სახელმწიფოს კუთვნილი მიწების თაღლითურად დაუფლების კიდევ ექვსი ფაქტი გამოავლინა

თაღლითობის და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე ბრალდება 6 პირს წარედგინა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წელს, ბრალდებულებმა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინეს ყალბი დოკუმენტები მასზედ, რომ თითქოსდა, 2007 წლამდე დაბა გომისმთაში თვითნებურად ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს.

აღნიშნულის საფუძველზე,

ბრალდებულები თაღლითურად დაეუფლნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთაში მდებარე ექვს მიწის ნაკვეთს, რითაც სახელმწიფოს 166 209 ლარის ზიანი მიაყენეს.

მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით) და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ყალბი დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინათ.

უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა

დაღუპული სამხედრო თემურ მაჭარაშვილია. აღნიშნულის შესახებ სოციალურ ქსელში სამოქალაქო აქტივისტი გიგა მაქარაშვილიც წერს. „კიდევ ერთი ბიჭი მოგვიკლეს ღორისშვილებმა, ბოროტებასთან ბრძოლაში! მაჭარაშვილების ოჯახმა უკვე მეორე ვაჟკაცი დაკარგა“.

„სოკარი“ მომხმარებლებს თაღლითური სქემის შესახებ აფრთხილებს

ბოლო დროს, კომპანია „სოკარის“ სახელით გავრცელდა სხვადასხვა სახის შეტყობინებები, რომლითაც მოსახლეობას „სოკარის“ აქტივებში ინვესტირებისკენ მოუწოდებენ. კომპანია საზოგადოებას აფრთხილებს, არ დაუჯერონ ამ თაღლითურ სქემას და მსგავს შეთავაზებებში ინვესტიცია არ განახორციელონ.

„სოკარი“ საზოგადოებას სოციალური ქსელებისა და ოფიციალური მედია არხების მეშვეობით, თავისი საქმიანობისა და სპეციალური აქციების შესახებ რეგულარულად აცნობებს. კომპანია შეახსენებს მოქალაქეებს, რომ „სოკარი“ არ არის პასუხისმგებელი მისი სახელით გაცემულ დაპირებებზე.

„ჩვენ მოვუწოდებთ მოქალაქეებს სიფრთხილისკენ და ვურჩევთ, მსგავსი შეთავაზების მიღების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ სამართალდამცავ ორგანოებს,“ — ნათქვამია „სოკარის“ მიმართვაში, რომელიც სოციალური მედიის მეშვეობით გავრცელდა.

სარფში, სადახლოსა და კარწახში დიდი ოდენობით არადეკლარირებული სიგარეტი გამოავლინეს!

14 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „სადახლო-საავტომობილო“ და „კარწახი“, არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყნის საზღვარზე კანონდარღვევით შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების, როგორც ფიზიკური და კუთვნილი ბარგის, ასევე მათი მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანების, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, ჯამში - 74 860 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს ჩამოერთვათ საქონელი და თითოეულს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, ათასათასი ლარის ოდენობით შეეფარდათ.

ჯათარზისი
საერთაშორისო ჰუმანიტარული ჯავშირი (ასოციაცია)
International Humanitarian Union (Association)
Catharsis

ვიწვევთ ასოციაცია „კათარზისის“ თავშესაფარში ცხოვრების მსურველ საპენსიო ასაკის, თვითმოვლის უნარის მქონე ხანდაზმულ ქალბატონებს.

დეტალური ინფორმაციისთვის მსურველები დაგვიკავშირდნენ 10 სთ-დან 18 სთ-მდე. ტელ: 2957876, 558194130

ზაურ (ოლეგ) ალადაშვილი „კათარზისის“ პრეზიდენტი

ᲚᲐᲜᲐ ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲢᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი რეჟისორ ლანა ღოღობერიძის ფილმების რეტროსპექტივას 16-20 ნოემბერს უმასპინძლებს.**

5 დღის განმავლობაში ეროვნული არქივის კინოთეატრში წარმოდგენილი იქნება ცნობილი რეჟისორის მიერ 1950-იან 2010-იან წლებში გადაღებული ფილმები, რომლებიც მაღალი ხარისხით გაციფრულებული და აღდგენილია.

რეტროსპექტივა 16 ნოემბერს 19:00 საათზე დოკუმენტური ფილმით „გელათი“ (1958) გაიხსნება. 16-20 ნოემბერს მაყურებელი იხილავს მხატვრულ ფილმებს: „ერთი ცის ქვეშ“ (1961), „მე ვხედავ მზეს“ (1965), „ფერისცვალება“ (1968), „როცა აყვავდა ნუში“ (1972), „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ (1978), „დღეს ღამე უთენებია“ (1984), „ორომტრიალი“ (1986) და „ოქროს ძაფი“ (2019).

აშშ ჩინეთთან მეტოქეობას განაგრძობს, თუმცა კონფლიქტი არ სურს

ამის შესახებ განცხადება აშშ-ის პრეზიდენტმა ჩინეთის ლიდერთან გამართული შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ჩინეთთან ახალი ცივი ომი არ იქნება.

„ის მკაფიო იყო და მეც მკაფიოდ ვთქვი, რომ დავიცავ აშშ-ის ინტერესებს და ღირებულებებს, წინ წავწევ ადამიანის უნივერსალურ უფლებებს, დავიცავ საერთაშორისო წესრიგს, ვიმუშავებ ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან მხარდამხარ. ჩვენ აქტიურად შევეჯიბრებით, მაგრამ მე კონფლიქტი არ მსურს. მე ამ კონკურენციის მართვა პასუხისმგებლიანად მსურს. მინდა, დავრწმუნდე, რომ ყველა ქვეყანა ემორჩილება საერთაშორისო წესებს და ეს განვიხილეთ. ერთი ჩინეთის პოლიტიკა არ შეცვლილა. ჩვენ ვეწინააღმდეგებით სტატუს-კვოს ცალმხრივად შეცვლას რომელიმე მხრიდან და ერთგულები ვართ, შევინარჩუნოთ მშვიდობა და სტაბილურობა ტაივანის სრუტეში“, — განაცხადა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გუშინ „დიდი ოცეულის“ სამიტის ფარგლებში ჩინეთის ლიდერ სი ძინპინს შეხვდა. ეს მათი პირველი შეხვედრა იყო პრეზიდენტების რანგში.

ავღანეთში შარიათის კანონები ამოქმედდება

ავღანეთის **რადიკალური დაჯგუფების, „თალიბანის“ უმაღლესმა ლიდერმა ჰაიბატულა ახუნზადამ ავღანელ მოსამართლეებს უბრძანა, რომ განაჩენის გამოტანისას შარიათის კანონმდებლობით იმოქმედონ. ამაში შედის საჯარო სიკვდილით დასჯა, ქვებით ჩაქოლვა, თავის და კიდურების მოკვეთა.**

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის აგვისტოში ავღანეთის ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ „თალიბანი“ პირობას დებდა, რომ 1990-იან წლებთან შედარებით მისი მმართველობა ამჟამად უფრო რბილი იქნება, სინამდვილეში ის თეოკრატიული დიქტატურის რეჟიმს უბრუნდება.

ახუნზადამ მოუწოდა მოსამართლეებს, რომ განსაკუთრებული ყურადღება იმ დანაშაულებზე გაამახვილონ, რომლებიც „ჰუდუდის“ კატეგორიას ეხება. ამ დანაშაულებზე სასჯელი შერბილებული არ შეიძლება იყოს. ეს არის ქურდობა, ყაჩაღობა, მრუშობა, ალკოჰოლის მოხმარება და რელიგიის შეურაცხყოფა. როგორც უფლებადამცველები ამბობენ, რელიგიის შეურაცხყოფაში შეიძლება ნებისმიერი სამოქალაქო აქტივობა ჩაითვალოს, რომელიც მთავრობის აზრს არ ემთხვევა.

აქამდე არსებული შეზღუდვები ავღანეთში, ძირითადად ქალთა უფლებების შეზღუდვას ეხება. კერძოდ მათ სწავლა ეკრძალებათ, არ შეუძლიათ საჯარო სამსახურში მუშაობა და კაცის გარეშე უმიზეზოდ გარეთ გასვლაც ეკრძალებათ.

ᲘᲞᲝᲕᲜᲘᲐᲜ ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲚᲔᲝ�პᲐᲢᲠᲐᲡ ᲐᲙᲚᲓᲐᲛᲐᲡ?

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔᲨᲘ, **ალექსანდრიასთან ტაძრის ქვეშ აღმოაჩინეს გვირაბი, რომელმაც არქეოლოგები შესაძლოა კლეოპატრას აკლდამამდე მიიყვანოს.**

გათხრებს ტაპოსირის მაგნაში სან-დომინგოს უნივერსიტეტის არქეოლოგი კეტლინ მარტინესი ხელმძღვანელობს, რომელიც ეგვიპტეს უკანასკნელი დედოფლის საფლავს 2005 წლიდან ეძებს. მისმა გუნდმა ტაძრის ქვეშ, 13 მეტრის სიღრმეზე მდებარე გვირაბი აღმოაჩინა, რომლის სიგრძეს 1 305 მეტრს აღწევს, სიმაღლე კი 2 მეტრს შეადგენს. გვირაბში ასევე აღმოაჩინეს ორი ალებასტრის თავი, რომლებიც 2 მეტრის სიმაღლეზეა დამაგრებული. მარტინეს გვირაბს „საინჟინრო სასწაულს“ უწოდებს.

მას სჯერა, რომ კლეოპატრა და მისი ქმარი მარკუს ანტონიუსი ტაპოსირის მაგნაში, ოსირისის ტაძრის ქვეშ არიან დამარხულები, სადაც მდინარე ნილოსი ხმელთაშუა ზღვაში ჩაედინება. თუმცა ცნობილია, რომ 1303 წლამდე იქ სულ მცირე 23 მიწისძვრა მოხდა, ამიტომ ტაძრის ნაწილი ჩაიძირა. არქეოლოგების მუშაობის შემდეგი ეტაპი წყალქვეშა სამუშაოები იქნება. მათ იმედი აქვთ, რომ კლეოპატრას აკლდამას სწორედ აქ აღმოაჩენენ.

პუტინს კადიროვის მეუღლე ნამეტნავად ეძვირფასება...

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის მეუღლეს, მედნი კადიროვას „დედა გმირის“ წოდება მიანიჭა.

„ოჯახის ინსტიტუტის გაძლიერებისა და შვილების აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისთვის მედნი კადიროვა მუსაევნას მიანიჭეთ „დედა გმირის“ წოდება “, — ნათქვამია პრეზიდენტის ბრძანებულებაში.

ტიტული „დედა გმირი“ ენიჭება რუს ქალებს, რომლებმაც გააჩინეს და აღზარდეს ათი ან მეტი შვილი. ასეთ დედებს ასევე ეძლევათ ერთჯერადი წახალისება მილიონი რუბლის ოდენობით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲗ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7172; ᲔᲕᲠᲝ - 2.7963
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1922;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.4847; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1465;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6017;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8642.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +4, ᲓᲦᲔ +16
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +2, ᲓᲦᲔ +14
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +5, ᲓᲦᲔ +20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -1, ᲓᲦᲔ +18
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +6, ᲓᲦᲔ +13

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge